ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 თებერვლიდან!

„ახალი თაობა“+ ყველასთვის გასაგები „ვეფხისტყაოსანი“

წიგნი და გაზეთი ერთად 8 ლარი



სამშაბათი, 14 თებერვალი, 2012 | №37 (5727) | ფასი: 30 თეთრი

# გუბაზ სანიკიძე: „ივანიშვილისგან ჯერ ფული არ აგვილია“

გვ. 2



ფორუმი ხელფასებს არ ითხოვს, მაგრამ ფულზე უარს არ იტყვის

## პეტრე ცისკარიშვილი: „საქართველოში არჩევნები არც ერთი პროცენტით არ გაყალბდება“

გვ. 3





## საქართველოში შეკრებების თავისუფლება შეზღუდულია!

გაერო 26 მაისის დარბევის ხელახალ გამოძიებას ითხოვს

გვ. 3

## საპარლამენტო უმცირესობა დაშლისგან კურდღელაშვილმა იხსნა

გვ. 3

## კახა ქაგანია: „სააკაშვილი თავისი ნებით არ წავა“

გვ. 5



ლეიბორისტებს აქციის ჩატარებაზე ნებართვა მისცეს



## რატომ გვიმკაცრებს თურქეთი სავიზო რეჟიმს

გვ. 6



გვ. 2

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ივანიშვილის ყოველი სიტყვა შეცდომების კორიანტელია“



## მაია ფანჯიკიძე: „ირაკლი ოქრუაშვილზე ფაქტების გამომზეურების დროც დადგება“

გვ. 4

ირაკლი ოქრუაშვილი: „ხალხი თქვენგან იმის მოსმენას არ ელის, დილით იოგას აკეთებთ თუ სტაფილოს წვენს მიირთმევთ“

„ახალი თაობა“+ ჩინგიზ ყაენი

8 ლარი

1 თებერვლიდან




ISSN 1987-9385

2 ნინო ბურჯანაძე: „მეგონა, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ერთიან ფრონტს შექმნიდა“

4 როგორ „გაყიდა“ პროკურორი თავისმა პარტნიორმა

6 პესების პროექტებს ხელისუფლება სავერაზმის დახმარებით იტაცებს

7 უგულავა გაყინულ უსახლკაროებს დაეხმარება

# გუბაზ სანიკიძე: „ივანიშვილისგან ჯერ ფული არ აგვიღია“

## ფორუმი ხელფასებს არ ითხოვს, მაგრამ ფულზე უარს არ იტყვის

**ეროვნული ფორუმი ივანიშვილის კოალიციის ოფიციალური წევრი გახდა. ამის შესახებ „პრაიმ ტაიმში“, პრესკონფერენციაზე განაცხადა გუბაზ სანიკიძემ. მან უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებების პროცესი ძლიერ გაჭიანურდა.**

თამარ ნინიძე



გუბაზ სანიკიძე

მისი თქმით, ეს საკმაოდ გონივრული ვადები იყო, დეკემბერში კახა შარტავამ პრესისთვის განცხადება გააკეთა, რომელშიც ითქვა, რომ ეროვნული ფორუმი ელოდება ბიძინა ივანიშვილის გუნდის ჩამოყალიბებას.

„კონსულტაციები მიმდინარეობდა, მაგრამ ამას არ ვახმაურებდით, რადგან ეს საერთო საქმისთვის მომგებიანი არ იქნებოდა. დღეს ამ კოალიციის წევრები ვართ და მზად ვართ, ჩავერთოთ საერთო საქმიანობაში. ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობებში პრობლემები არა გვაქვს“ – განაცხადა სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძეს ჟურნალისტებისთვის მოუხდა იმის ახსნა, თუ რატომ გახდა საჭირო სამსუბიექტიანი ბლოკის დაშლა. მისი თქმით, ბლოკი, რომელშიც გუგული მაღრაძე, აკაკი ასათიანი და შარტავა შედიოდნენ, მხოლოდ საარჩევნო კოდექსზე სამუშაოდ შეიქმნა, შემდეგ კი სუბიექტებმა საჭიროდ ჩათვალეს ინდივიდუალურ რეჟიმში გაეგრძელებინათ ურთიერთობები. ჭორები ფორუმის დაშლის ან ივანიშვილის კოალიციაში მხოლოდ სამი ლიდერის შესვლის შესახებ, გუბაზ სანიკიძის თქმით, საბედნიეროდ, მხოლოდ ჭორი გამოდგა. კოალიციაში გაწევრიანებამდე მოლაპარაკებების დროს, მისი განცხადებით, არც კვოტებზე იყო საუბარი და არც სხვა პირობებზე. ახლა რაკი კოალიციის სუბიექტია ფორუმი, დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი დგას, რაც შეიძლება მალე მოხდეს გაერთიანებაში ინტეგრაცია.

გუბაზ სანიკიძეს ასევე მოუხდა უარყოფა გავრცელებული ინფორმაციისა იმის შესახებ, რომ კოალიციაში დომინანტები რესპუბლიკელები არიან. არავინ არის დომინანტი, გაერთიანებაში დომინირებს მხოლოდ ჯანსაღი მოსაზრებები. ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი შეცდომებსაც აღიარებს, მისი აზრით, არჩევნებზე ოპოზიციას მეორე ტურშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, ეს იყო ოპოზიციის სტრატეგიული შეცდომა.

„აგვისტოს წაგებული ომის თანამონაწილენი ვართ, ჩვენ მეორე ტურზე უარი რომ არ გვეთქვა, სააკაშვილი ხელისუფლებაში არ დარჩებოდა“ – აღიარებს გუბაზ სანიკიძე.

ამჟამად ეროვნულ ფორუმს მიაჩნია, რომ ერთადერთი სწორი საგარეო ვექტორი ევროპული გზაა. ეს არის საქართველოს ბუნებრივი ლტოლვა ჩრდილოატლანტიკური სივრცისკენ, საქართველო, სანიკიძის აზრით, წარმატებას მაშინ აღწევდა, როცა სამოკავშირეო ურთიერთობები ჰქონდა რომის იმპერიასთან და ჯვაროსნებთან დავით აღმაშენებლის დროს. მისი აზრით, სააკაშვილი იჩემებს ევროპულ ორიენტაციას, მაგრამ მისმა რეჟიმმა საქართველო ამ კურსს დააშორა. კურსი ევროპისკენ, რაზეც საუბრობს ხელისუფლება, ბლეფია, სინამდვილეში ევროინტეგრაციისთვის არაფერი კეთდება. ნატოზე კი ქართველებს ხანგრძლივი ოცნებები მოგვიწევს, სანიკიძის აზრით, ახლა საშინაო დავალებები გვაქვს შესასრულებელი, ხანგრძლივი მშვიდობა და ეკონომიკური განვითარება დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ერთად. სანიკიძემ ფინეთის მაგალითი მოიყვანა, რომელიც რუსეთის გავლენისგან განთავისუფლდა და თანაც დემოკრატიული ინსტიტუტები განავითარა.

„ჩვენ ახლა მხოლოდ ფასადური, გადალებილი დემოკრატია გვაქვს, პოტიომკინის სახლებივით არის გარედან ჭრელი ჩვენი შენობები, შიგნიდან კი ნგრევაში მყოფი“ – აცხადებს სანიკიძე.

ეროვნული ფორუმის ლიდერმა უარი თქვა ოქრუაშვილის წერილის კომენტარზე მანამ, სანამ ამ წერილს არ გაეცნობა, ცნობილი გახდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა უსტარი გაუგზავნა ბიძინა ივანიშვილს, რომელშიც მისი გარემოცვის შესახებ კრიტიკულ მოსაზრებებს ავითარებს და აფრთხილებს მას, რომ გარემოცვამ დაღუპა გამსახურდია და მისი ბედი არ გაიზიაროს. სანიკიძე ამ წერილს არ იცნობს, ამიტომ მასზე კომენტარი მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა მის შინაარს გაეცნობა. რაც შეეხებას ივანიშვილის მიერ გაპიარებულ ქუჩის აქციებს, გუბაზ სანიკიძე დადებითად აფასებს ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას, ის ამბობს, რომ ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღეზე მისული ათასკაციანი აქციაც ქუჩის აქცია იყო, ხმების დასაცავად კი აუცილებლად გავლენ ქუჩაშიც.

გუბაზ სანიკიძე არ თვლის, რომ ივანიშვილი საკუთარი გარემოცვის მსხვერპლია. „ეს არის ძალიან გონიერი და ნიჭიერი ადამიანი, სხვაგვარად 5 მილიარდი ასე ადვილად არ იშოვება. არა მგონია, ვინმეს გავლენის ქვეშ იყოს. გადაწყვეტილებებს თავად იღებს, ამაში დარწმუნებული ვარ“, – ასე ფიქრობს სანიკიძე.

ეროვნული ფორუმის ლიდერი არ მიიჩნევს რეტროგრადულს ივანიშვილის გაერთიანებას, ის დემურ გიორხელიძეს ნიჭიერ ადამიანს უწოდებს. მისი თქმით, შევარდნაძის ხელისუფლებაში რეზო შავიშვილიც იყო, მაგრამ დარჩა სუფთა ადამიანად და დღეს სანიკიძისთვის დიდი პატივია მის გვერდით ყოფნა, სააკაშვილზე კი ამბობს, რომ არავის უნდა დაავიწყდეს, რომ სწორედ სააკაშვილი იყო შევარდნაძის მთავრობაში იუსტიციის მინისტრი, უმრავლესობის ფრაქციის ლიდერი და საკრებულოს თავმჯდომარე.

„ვინ აუკრძალა შევარდნაძის დროინდელ მოხელეებს პოლიტიკური საქმიანობა, ვინ დაურიგა მგლის ბილეთი? ამის უფლება არავის აქვს.“ – მიაჩნია სანიკიძეს.

17 თებერვალს ივანიშვილის გაერთიანების საინიციატივო ჯგუფი პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბების შესახებ პირველ განცხადებას გააკეთებს. ვიდრე პრეზენტაცია არ შედგება, სანიკიძე არ აპირებს, გაახმაუროს იმ ადამიანების ვინაობა, ვინც ამ საინიციატოვო ჯგუფში იქნებიან, ის გვარწმუნებს, რომ ესენი იქნებიან ღირსეული ადამიანები.

გუბაზ სანიკიძე ორი ტიპის გაერთიანებაზე საუბრობს. პირველი – ეს არის იდეოლოგიური გაერთიანება და მეორეა გაერთიანება, რომელიც ზეამოცანის შესასრულებლად ყალიბდება. ეს სწორედ ის გაერთიანებაა, რომელიც ზეამოცანის შესასრულებლად შეიქმნა, როგორც სანიკიძე ამბობს, ნაცმოძრაობის ბატონობისგან ქვეყნის გადარჩენის ამოცანის შესრულება ამ კოალიციის მთავარი მიზანია.

მესამე ცენტრებზე სანიკიძე ირონიულად აღნიშნავს, ნამდვილი მესამეების აღლუმია, ახლახან ედპ-მ გამაოცხადა მესამე ცენტრის შექმნის შესახებ, ახლა ბურჯანაძე და კუკავა აცხადებენ, სანიკიძე მიიჩნევს, რომ მხოლოდ ორი ცენტრი არსებობს.

საონტერესო მინიშნებას აკეთებს სანიკიძე იმ შემთხვევისთვის, თუ ირანის პრობლემა გამწვავდება. ამ შემთხვევაში სხვა პოლიტიკური კონფიგურაცია უნდა ჩამოყალიბდეს, ქვეყნის გადასარჩენად სანიკიძე დიდი ქართული შეთანხმების საფუძველზე დიდი გაერთიანების შექმნასაც არ გამორიცხავს.

„სააკაშვილი რომ გაიქცევა, ვინმეს ამაში ეჭვი გეპარებათ, რუსეთი რომ შემოვიდეს, საჭირო იქნება ქვეყნის დაცვა, დღეს ეს ქვეყანა უპატრონოა, არ გახსოვთ, დედაწულიანად რომ იყო მიმდგარი ნაცმოძრაობა აზერბაიჯანისა და თურქეთის საზღვარზე აგვისტოს ომის დროს? ბურჯანაძეს და კუკავას რაც შეეხება, შესაძლებელია კოორდინაცია გარკვეულ საკითხებზე, თემატური ჯგუფის შექმნაც, თუმცა, დღეს ალიანსის კიდევ გაფართოებაზე საუბარი არ არის.“ – აცხადებს სანიკიძე.

სანიკიძე ამბობს, რომ ივანიშვილს ეროვნული ფორუმისთვის ფული არ მოუცია. მაგრამ დაფინანსება რომ მივიღოთ, ეს ნურავის გაუკვირდებაო, ხელფასებს არ ვიღებთ, მაგრამ საერთო მიზნისთვის ფინანსები აუცილებელიაო, ამბობს სანიკიძე.

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ივანიშვილის ყოველი სიტყვა შეცდომების კორიანტელია“

პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის მიერ ირაკლი ოქრუაშვილის, შალვა ნათელაშვილის და სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები არა მისი, არამედ რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების აზრია.

როგორც ჭიპაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ამას მოწმობს თავად ბიძინა ივანიშვილის კომენტარები, სადაც ის ამბობს, რომ ქართულ პოლიტიკაში ახალი კაცია.

„ივანიშვილი თვითონ ამბობს, რომ ახალია და არ იცის, რა ხდებოდა ქართულ პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, მან არ უნდა იცოდეს ის დეტალები, რის შესახებაც ახლა ლაპარაკობს. მისი კრიტიკა სხვა პარტიების მიმართ ცოტა თავშეკავებული უნდა იყოს. ქართველი კაცის



ჰამლეტ ჭიპაშვილი

გონებაში ივანიშვილი წარმოდგენილი იყო როგორც ღმერთი. ახლა აღმოჩნდა, რომ ის ღმერთი არ არის, ჩამოვიდა ღრუბლებიდან, დაეშვა ამ ბედკრულ მიწაზე და გაერია იმ პარტიებში, რომელიც ზოგს მოსწონს და ზოგს არა. უმრავლესობას, ვინც ივანიშვილს აკრიტიკებს, არ მოსწონს არც რესპუბლიკელები არც ალასანია და არც ის ხალხი, რომელიც ივანიშვილმა შეარჩია. ივანიშვილისთვის ჯობდა, რომ დარჩენილიყო ზეცაში და ამ ხალხს ისევ ჰქონოდა წარმოდგენა მის შესახებ, რომ ის ღმერთია. ამჯერად, როდესაც ივანიშვილი მიწაზე დაეშვა, მან უამრავი შეცდომა დაუშვა. ყოველი მისი სიტყვა შეცდომების კორიანტელია, რაც ცხადია, ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში (და ასეთი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილია) ძალიან დიდ ნიჰილიზმს იწვევს“, – განაცხადა პოლიტოლოგმა და დასძინა, რომ ივანიშვილი თავისი ფაქტორიდან გამომდინარე, ოქრუაშვილთან პოლიტიკურ კონფრონტაციაში არ უნდა შედიოდეს.

„როდესაც ასეთი ვითარებაა, ოქრუაშვილთან ჭიდილში არ უნდა ჩაერიო, ივანიშვილის დონე არ უნდა იყოს ეს, მაგრამ რახან შენ ერევი ამ ჭიდილში (ხან ნათელაშვილს დაეჭიდება, ხან ვის, ხან ვის) გამოდის, რომ შენც ისეთივე მოლაყბე ხარ, როგორც ყველა ოპოზიციონერი, რომელთაც ლაყბობის მეტი არაფერი შეუძლიათ.

ვისურვებდი, რომ ივანიშვილის მიმართ არსებული დადებითი განწყობა შენარჩუნებულიყო, თუმცა რაც დრო გადის, როგორც საზოგადოება, ასევე მეც ვხვდები, რომ ჩვენ არ გვაქვს საქმე იმასთან, ვისთანაც გვინდოდა რომ გვქონოდა. სამწუხაროდ ასეა“, – განაცხადა პოლიტოლოგმა.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე: „მეგონა, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ერთიან ფრონტს შექმნიდა“

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის აზრით, უნდა შექმნილიყო ერთიანი ოპოზიციური ფრონტი ხელისუფლების რეალურად დასამარცხებლად, რომელიც გამოაცხადებდა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ექვს თვეში ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ხოლო ამ ექვს თვეში კი უზრუნველყოფდა რეალურად თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნას ეს არის რეალური გამარჯვების საუკეთესო ფორმულა.

„მეგონა, რომ ბიძინა ივანიშვილის ბრძოლის ტაქტიკა განსხვავებული იქნებოდა. მეგონა, რომ იგი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა პოლიტიკურ პარტიას, გარდა ხელისუფლების სატელიტი პარტიებისა, შეკრებდა ერთად, შექმნიდა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ, ერთიან ფრონტს და ასეთი ფორმით გააგრძელებდა ბრძოლას ამ რეჟიმის წინააღმდეგ. ვიმეორებ: ეს უნდა ყოფილიყო სრულიად ოპოზიციური ერთიანი ფრონტი გაერთიანებული ერთადერთი ნიშნით, სადაც იქნებოდა ყველა პოლიტიკური ძალა, გარდა იმ პარტიებისა, რომლებიც ღიად თანამშრომლობენ სააკაშვილის რეჟიმთან და შეკრულები არიან ხელისუფლებასთან! აქ არც ვინმეს პრორუსობაზე ან პროამერიკელობაზე არ უნდა ყოფილიყო საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ იარლიყების მიწებებასთან დაკავშირებითაც ძალიან ბევრი კითხვა არსებობს“, – აცხადებს ნინო ბურჯანაძე გაზეთ „ასავალ დასავალთან“ ინტერვიუში და დასძენს:

„ეს ნამდვილად იქნებოდა უზარმაზარი სინერგიის მატარებელი ერთობა, რომელიც საქართველოში თავისუფალი არჩევნების მოპოვებისათვის მშვიდობიან ბრძოლას გაშლიდა როგორც საქართველოს საზღვრებს გარეთ ასევე ქვეყნის შიგნით და წავიდოდა ამ ხელისუფლების დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზეც კი, და ამ შემთხვევაში კი უკვე გარდაუვალი გამარჯვების შემდეგ, ამ ერთიან ფრონტს უნდა აეღო ვალდებულება, და ექვსი თვის ვადაში დაენიშნა რეალურად თავისუფალი და დემოკრატიული, კონკურენტუნარიანი გარემოს მქონე ვადამდელი არჩევნები. რათა ამ ხელოვნური ერთობის ნაცვლად, ექვსი თვის შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგად, ადამიანებმა არჩევანი უკვე იდეოლოგიურ საფუძვლებზე გააკეთონ“.



ნინო ბურჯანაძე

ბურჯანაძის თქმით, ამ ექვს თვეში თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი იმ ხუთი უმთავრესი პუნქტის რეალიზება, რაზეც სახალხო კრება ჯერ კიდევ 2010 წლის 29 სექტემბერს საუბრობდა და რაც აუცილებელია ნორმალური არჩევნების ჩასატარებლად: 1. თავისუფალი მედია; 2. თავისუფალი ბიზნესი; 3. თავისუფალი სასამართლო; 4. არაპოლიტიკური პოლიცია; 5. თავისუფალი და დამოუკიდებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია. სწორედ ამის შემდეგ უნდა დანიშნულიყო არჩევნები და ამის მერე უნდა დაეყოთ ოპოზიცია პრორუსულებად, პროამერიკელებად, პროავსტრალიერებად, არა ქართულებად და ასე შემდეგ...“

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული
ოთეკა

# პეტრე ცისკარიშვილი: „საქართველოში არჩევნები არც ერთი პროცენტით არ გაყალბდება“

**საქართველოში უკვე აქტიურად საუბრობენ არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებაზე. ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებს, რომ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებული აქვს.**

თეა მარხვაიძე

ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, უკვე ბიძინა ივანიშვილიც იზიარებს, რომელმაც ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ის აქციებს გამართავდა.


პეტრე ცისკარიშვილი

ეს განცხადება გუშინ მისმა პრესსპიკერმაც გაიმეორა. აქციების გამართვით იმუქრებიან სხვა ოპოზიციური პარტიებიც.

ნაციონალები კი ამტკიცებენ, რომ არჩევნების გაყალბება გულშიც კი არ გაუვლიათ. არადა, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ არჩევნებზე სომხური და სხვა უცნაური კარუსელები დატრიალდება. ასეთი კარუსელების მოფიქრებაში ჩვენს ხელისუფლებას ვერავინ შეედრება.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი კი ამტკიცებს, რომ გაყალბებას ადგილი არ ექნება. მისი თქმით, საქართველოში არჩევნები არც ერთი პროცენტით არ გაყალბდება.

როგორც ჟურნალისტებთან „ქართული ოცნების“ პრესსპიკერის მაია ფანჯიკიძის განცხადების კომენტირებისას ცისკარიშვილმა განაცხადა, ივანიშვილის პოლიტიკური გუნდი სრულიად მოწყვეტილია პოლიტიკურ რეალობას.

– ადამიანს, რომელსაც ჰგონია, რომ ოქრუაშვილი ჩვენს გუნდში რჩება, ის საერთოდ მოწყვეტილია პოლიტიკურ რეალობას. ამ რეალობიდან შორს დგომას განაპირობებს ისიც, რომ მას ასევე ჰგონია, რომ არჩევნები გაყალბდება. საქართველოში არჩევნები არ გაყალბდება არც ერთი პროცენტით, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო. თუ მას მიზეზი უნდა, რომ დაიწყოს მიტინგების მობილიზება არჩევნების გაყალბების მიზეზით და ამას ახლავე აანონსებს, მას შეუძლია ნებისმიერ დროს დაიწყოს აქციები. საქართველო არის თავისუფალი ქვეყანა და არავინ არ უშლის შეკრებას, – დასძინა მან.

უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა ყველა წინაპირობა, რომ იყოს კარგი გამართული საარჩევნო გარემო და მას არ აქვს არანაირი პოლიტიკური ნება არჩევნების გასაყალბებლად.

უმრავლესობის ლიდერის განცხადება ოპოზიციას არასერიოზულად მიაჩნია. მათი ღრმა რწმენით, ხელისუფლება არჩევნების სერიოზულ გაყალბებას გეგმავს.

# საპარლამენტო უმცირესობა დაშლისგან კურდღელაშვილმა იხსნა

თეა მარხვაიძე

საპარლამენტო უმცირესობა და უმრავლესობა შავ დღეში იყვნენ. მართალია თორთლაძის ფრაქცია დაშლას გადაარჩინეს, მაგრამ შემდეგ საპარლამენტო უმცირესობა გაუხდათ გადასარჩენი. რომელსაც, გია ცაგარეიშვილის განცხადებით, საფრთხე ნაციონალების ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ შეუქმნა.

**საპარლამენტო უმცირესობის გულშემატკივრებს მისალოცად აქვთ საქმე. ნაციონალების მცდელობით უმცირესობა დაშლას გადაურჩა. უმცირესობა დაშლისგან ნაცმოძიდან გარიცხულმა კობა კურდღელაშვილმა გადაარჩინა. დაშლას გადაურჩა ფრაქცია „ძლიერი საქართველოსთვისაც“. გია თორთლაძე უფრაქციოდ დარჩენას ქდმ-მ გადაარჩინა. ქრისტიან დემოკრატებმა იქ რატი მაისურაძე მიავლინეს.**


ლევან ვეფხვაძე

საუბარია ბეჟან ხურციძის გარიცხვაზე. ვანის მაჟორიტარი დეპუტატი მმართველმა გუნდმა უმრავლესობიდან 11 თებერვალს გარიცხა. პავლე კუბლაშვილმა მაშინ განაცხადა, ვანელთა რჩეული იმიტომ მოვკვეთეთ ჩვენი რიგებიდან, სათანადოდ არ აქტიურობდაო. მანვე დასძინა, რომ ხურციძე თურმე სხდომებზეც არ დადიოდა. ამ მიზეზით თუ დაიწყეს ხალხის გარიცხვა, ბოლოს საპარლამენტო უმრავლესობაში მარტო ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილი დარჩებიან. დანარჩენები საერთოდ არ აქტიურობენ. დიდი-დიდი, აკაკი ბობოხიძემ იაქტიუროს. ისიც ხან მუშტს იქნევს, ხანაც სიმინდის ტაროს.

ოპოზიცია ეჭვობს, რომ ნაციონალებმა ხურციძე სხვა მიზეზის გამო მოკვეთეს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ მათი და ხურციძის გზები ერთი წლის წინ გაიყო. საინტერესოა, რატომ მაშინვე არ მოიკვეთეს ხურციძე.

საინტერესოა ისიც, რაღა ახლა მოუნდათ მისი გარიცხვა თავიანთი რიგებიდან. მიზეზი იმაზე სერიოზულია, ვიდრე ჩვენ გვგონია. ჯონდი ბაღათურიას აზრით კი, ხურციძე იმიტომ გარიცხეს, რომ ის პატრიოტი ადამიანია.

ეს განცხადება ჯონდი ბაღათურიამ გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ამ პრესკონფერენციაზე ბაღათურია აშკარად გამარჯვებული სახით იდგა.

მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ხურციძე უმრავლესობამ საკუთარი რიგებიდან პატრიოტული განწყობების გამო გარიცხა.

– უმრავლესობის წევრებისათვის ხურციძის პატრიოტული განწყობა ცნობილი გახდა და ვიდრე ეს უკანასკნელი მას საკუთარი სურვილით დატოვებდა, უმრავლესობამ „დაასწრო“ და მისი გარიცხვის გადაწყვეტილება თავად მიიღო, – განაცხადა ბაღათურიამ.

რა პატრიოტული გრძნობები აწუხებდა ხურციძეს, ბაღათურიას არ დაუკონკრეტებია. მას არც იმ დეპუტატების ვინაობა დაუსახელებია, რომლებიც მისი თქმით, ამ დღეებში დატოვებენ უმრავლესობას.

დეპუტატმა მხოლოდ ის თქვა, რომ ეს ის ხალხია, რომლებიც არ ეთანხმებიან იმას, რაც სახელმწიფოში ხდება.

ამასთან, ბაღათურიამ აღიარა, რომ იგი უმრავლესობის ორ ღირსეულ წევრთან მართავს კონსულტაციას, რომელთა ვინაობის დასახელებისაგან მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე იკავებს თავს.

ბაღათურიას პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ უმრავლესობიდან გარიცხეს კასპის მაჟორიტარი დეპუტატი კობა კურდღელაშვილი. რომელიც სავარაუდოდ, არ უნდა შედიოდეს იმ ღირსეულთა სიაში, რომელზეც ბაღათურია დღის პირველ ნახევარში საუბრობდა.

ყველა ძალიან კარგად მიხვდა, რომ კურდღელაშვილი საპატიო მიზეზით იქნა გარიცხული. ეს საპატიო მიზეზი კი საპარლამენტო უმცირესობის გადარჩენა გახლდათ.

გადარჩენის ოპერაცია რომ აუცილებლად ჩატარდებოდა, ამაზე წინა დღეებში აქტიურად საუბრობდა გია ცაგარეიშვილი.

წინა დღეებში საინტერესო განცხადებები გააკეთეს ქრისტიან-დემოკრატებმაც. ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ რამდენიმე დეპუტატთან მიდიოდა მოლაპარაკება. არსებობდა ინფორმაცია, რომ უმცირესობაში აჭარის რეგიონიდან გადავიდოდა რომელიმე მაჟორიტარი. ვარაუდი არ გამართლდა და უმცირესობა პარლამენტში კასპის ხმამ გადაარჩინა.

არადა, ჯონდი ბაღათურია გუშინ დილით ახალი უმცირესობის შექმნაზე საუბრობდა. ის ახალ უმცირესობაში უმრავლესობის და ძველი უმცირესობის წევრებს ეპატიჟებოდა.

– პარლამენტში ფსევდოოპოზიცია დაიშალა და უმრჯვლესობა მართული უმცირესობის შეკოწიწებას ახლა ისევ ცდილობს. უმრავლესობა ამ საკითხზე კონსულტაციას დღეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გაივლის, რაც უკანონო საქციელია, – აღნიშნა გუშინ დილით ჯონდი ბაღათურიამ.

იმ დროისთვის უმცირესობა ფაქტიურად დაშლილი იყო.

– ჩვენი რიგები გაიზარდა და ახლო მომავალში კიდევ გაიზრდება. მოლაპარაკებებს კიდევ ვმართავთ უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთან, რომლებიც პატრიოტულად არიან განწყობილნი. მოვუწოდებთ უმცირესობის ყველა წევრს, ნუ შეინარჩუნებენ უმრავლესობის კონტროლს. ჩვენი კარი ღიაა მათთვის. ჩვენ მზად ვართ, დავივიწყოთ ის თავდასხმები, რასაც უმცირესობა ჩვენ წინააღმდეგ მიმართავდა და ნამდვილ ოპოზიციას შემოუერთდეს, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მას მიაჩნია, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი პარლამენტში ახალი საპარლამენტო უმცირესობის შექმნა.

ძველ უმცირესობას რომ დაშლა არ ემუქრებოდა, ამაზე ბევრი რამ მეტყველებდა. უმცირესობის წევრები გუშინ დილიდან თავდაჯერებულები ჩანდნენ. ლევან ვეფხვაძე თავის ფანებს აიმედებდა, რომ ნაციონალ დეპუტატებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და რაკი კურდღელაშვილმა მათთან მოინდომა გადასვლა, ეტყობა, ის გადაიბირეს.

# საქართველოში შეკრებების თავისუფლება შეზღუდულია!

## გაერო 26 მაისის დარბევის ხელახალ გამოძიებას ითხოვს

თეა მარხვაიძე

ცოტა ხნის წინ საქართველოში ვიზიტით ჩამოვიდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი მაინა კიაი. რომელიც ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. გუშინ მან წინასწარი ანგარიში წარმოადგინა. რომელიც ქართულმა ოპოზიციამ დადებითად შეაფასა.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ 2011 წლის 26 მაისს აქციის მონაწილეებზე მთავრობის რეაქცია არაპროპორციული იყო.

მაინა კიაის განცხადებით, არსებობს დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, რომ საპროტესტო აქციის დაშლის შემდეგაც ადგილი ჰქონდა ადამიანების ცემის ფაქტებს და რომ პროტესტის მონაწილეებს „მისდევდნენ და უმოწყალოდ უსწორდებოდნენ“.

– ყოველივე ეს ბადებს ეჭვს, რომ მიზანი იყო არა საპროტესტო აქციის მონაწილეების დაშლა, არამედ მათი დასჯა და საზოგადოებაში შიშის დანერგვა, – განმარტა მაინა კიაიმ.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიიჩნევს, რომ მომხდარზე ახალი და დამოუკიდებელი გამოძიება უნდა დაიწყოს.

– გამოძიება უნდა წარიმართოს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომელშიც ჩართული იქნებიან როგორც მთავრობის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ძალის აშკარა გადამეტებისთვის ანგარიშვალდებულება არსებობს. ამ ანგარიშვალდებულების არარსებობის შემთხვევაში მთავრობის დაუსჯელობისა და მისდამი უკმაყოფილების განცდა გაბატონდება, – განაცხადა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა.

მაინა კიაის დადებულ დასკვნას დადებითად აფასებს დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს მთავარი საბჭოს წევრი ზაზა სოფრომაძე.



ზაზა სოფრომაძე

– ეს დასკვნა ძალიან სერიოზული და ძალიან მნიშვნელოვანია. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ 26 მაისის დარბევის დროს ხელისუფლებამ დანაშაული ჩაიდინა. ნათლად არის ნათქვამი, რომ ეს არ იყო აქციის დაშლა. ხელისუფლებას ხალხში შიშის დათესვა სურდა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ზაზა სოფრომაძემ.

მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ გაერო ამ დარბევის გამოძიებას ითხოვს. სოფრომაძე იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლებას ამ დანაშაულისთვის მოუწევს პასუხისგება.

სოფრომაძე კმაყოფილია იმითაც, რომ გაერო დაპატიმრებულების ბედითაც დაინტერესდა.

– სპეციალური წარმომადგენელი საქმის კურსშია თუ რამდენი ადამიანის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 26 მაისის შემდეგ. კიაიმ იცის, რომ საქართველოში 40-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარია. ის შეშფოთებულია იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ეს ფაქტი დამალა, – აცხადებს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

ზაზა სოფრომაძის მსგავსად ამ დასკვნით ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიც კმაყოფილები არიან. საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი მკაცრი დასკვნა კარგა ხანია არ დადებულა.

ოპოზიცია იმითაც კმაყოფილია, რომ გაერო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონს უარყოფითად აფასებს.

მაინა კიაიმ აქციის მონაწილეებისთვის საზოგადოებრივ შენობებთან 20 მეტრის რადიუსში მიახლოების აკრძალვა და დემონსტრაციის ძალისმიერი გზით დაშლისთვის 15-წუთიანი გაფრთხილების წესი ყარყოფითად შეაფასა.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხზე მომუშავე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მაინა კიაის თქმით კანონში შესული შესაბამისი ცვლილება მშვიდობიანი შეკრების უფლებას ზღუდავს.

– მე ვიცი, რომ საქართველოში მშვიდობიანი შეკრების გამართვა არ საჭიროებს წინასწარ ნებართვას. ასევე ვიცი, რომ საქართველოში იმართება სხვადასხვა მშვიდობიანი შეკრება. საქართველოში ყოფნისას მე ერთ-ერთი აქციის მომსწრეც გავხდი. მიუხედავად ამისა, კანონში რიგი პრობლემური დებულებები ჯერ კიდევ რჩება, რომლებიც შეკრების თავისუფლებას ზღუდავს. უნდა გვახსოვდეს, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს არ ყოფილა დაცული საზოგადოებრივი შენობების შესასვლელებიდან 20 მეტრის მოთხოვნის ნორმა, მოხდა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა, მაგისტრალებისა და ტრანსპორტის მოძრაობის გადაკეტვა. ვშიშობ, აღნიშნული შეზღუდვები შემოღებულია იმისთვის, რომ ხელი შეეშალოს მოქალაქეებს, მშვიდობიანი პროტესტის გზით საკუთარი მოსაზრებები გამოხატონ, – განაცხადა მაინა კიამ.


მაინა კიაი

მისივე თქმით, იგი შეშფოთებულია შეკრების ძალისმიერი დაშლისთვის 15-წუთიანი გაფრთხილების წესით, რადგან ეს საერთაშორისო სტანდარტებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

# მაია ფანჯიკიძე: „ირაკლი ოქრუაშვილზე ფაქტების გამომზეურების დროც დადგება“

შალვა ჯოხაძე

**საქართველოდან გადაკარგულ ირაკლი ოქრუაშვილს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლის შესახებ ძალიან ბევრი სათქმელი დაჰგროვებია. ეს სათქმელი მთლად დადებითი რომ არ იქნებოდა, ეს მარტივი გამოსაცნობი იყო. ივანიშვილი და „ქართული პარტია“, რბილად რომ ვთქვათ, არ თანამშრომლობენ. ოქრუაშვილი თვეებია, ზოგადად, დუმს და ვინ იფიქრებდა, თუ ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილისადმი ასეთი შეტევით შემოიჭრებოდა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ივანიშვილმა ოქრუაშვილი საკუთარი სიტყვებით გამოიწვია. ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ერთ ფრაზას მოჰყვა „ასავალ-დასავალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

ინტერვიუში ოქრუაშვილზე საუბარი მას შემდეგ ჩამოვარდა, რაც ჟურნალისტი დაინტერესდა, ბიძინა ივანიშვილს საპატრულო რეფორმის დაფინანსებაში თუ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

– პატრულისთვის ჩვეულებრივი მანქანები იყიდეს ჩემი ფულით. გიმეორებთ: არავითარი სპეცმანქანები ჩემი ფინანსებით არ შეუძენიათ! 7 ნოემბერს რომ გამოიყენეს, მაშინ დავინახე მეც, რომ მსგავსი მანქანები ჰქონდათ... მე მაქვს ჩემი ადამიანური, ცხოვრებისეული მკვეთრი პოზიციები და, რა თქმა უნდა, მსგავსი ტექნიკის შეძენაში მე არავითარ შემთხვევაში არ დავეხმარებოდი! ეს არის ჩემი ოფიციალური პოზიციაც და პასუხიც! მეტსაც გეტყვით: ესენი ვერც გაბედავდნენ ჩემი ფულით იმ იარაღისა თუ ტყვია-წამლის შეძენას, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ ნათელაშვილი და სხვები! გიმეორებთ: ჩემი ფულით სამხედროებს ტანსაცმელი უყიდეს და, სხვათა შორის, პირველი სამხედრო ფეხსაცმლის შემოტანას პირადად ვაკონტროლებდი. იმის შემდეგ სამმაგ ფასში იყიდეს იგივე ფეხსაცმელი და თანაც იმავე კომპანიისგან! ეგრევე ფულის კეთება დაიწყეს მერე. მე დავაფინანსე გარნიზონების მშენებლობა... თანხის ზუსტი რაოდენობა ახლა არ მახსოვს, მაგრამ იმდენი იყო, რომ ყველა გარნიზონის მშენებლობას უნდა ჰყოფნოდა, მაგრამ ბოლოს ველარ ვაკონტროლებდი ამ თანხის ხარჯვით პროცესს. ოქრუაშვილის წასვლის პერიოდი იყო და მას „აწერდნენ“ ამ თანხების გაქრობასაც... პირველ წლებში „სოროსის ფონდში“ მეც ვრიცხავდი თანხებს, რათა სახელმწიფო მოხელეებს ხელფასები მომატებოდათ და ამით, გარკვეულწილად, მართლა რეალურად დავამარცხეთ იმ წლებში კორუფცია, – აღნიშნა ივანიშვილმა.

სწორედ ამას მოჰყვა კითხვა პირადად ოქრუაშვილზე და ივანიშვილის პასუხიც:

– ოქრუაშვილი ამათი ტიპიური სახეა. რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ ის თანამშრომლობს ამ ხელისუფლებასთან და დღესაც ამ გუნდის წევრია! მათ მოუვიდათ შიდა კონფლიქტი, თუმცა, ახლა კვლავ ერთად არიან, მე რამდენადაც ვიცი...

ჰოდა, ირაკლი ოქრუაშვილმაც ბიძინა ივანიშვილს ეს სიტყვები არ შეარჩინა. ამ დღეებში მან ევროპიდან ღია წერილი აფრინა.

## ირაკლი ოქრუაშვილი: „ხალხი თქვენგან იმის მოსმენას არ ელის, დილით იოგას აკეთებთ თუ სტაფილოს წვენს მიირთმევთ“

– გასულ კვირას გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა თქვენი ინტერვიუ, სადაც მცირე პასაჟით შემოიფარგლეთ ჩემ შესახებ. საერთოდ არ ვაპირებდი პასუხის გაცემას, რომ არა „ქართული პარტიის“ წევრთა უდიდესი ნაწილის მოთხოვნა ერთი წინადადება მაინც მეთქვა იმ უმძიმეს ბრალდებაზე, რომელიც მე წამიყენეთ. საზოგადოებას რომ კიდევ ერთხელ შევახსენოთ თქვენი შეფასება, ვახდენ ციტირებას: „ოქრუაშვილი ამათი ტიპიური სახეა. რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ ის თანამშრომლობს ამ ხელისუფლებასთან და დღესაც ამ გუნდის წევრია! მათ მოუვიდათ შიდა კონფლიქტი, თუმცა, ახლა კვლავ ერთად არიან, მე რამდენადაც ვიცი...“

გულახდილად ვიტყვი, პირველი და ემოციური რეაქცია, თქვენი ამ ფრაზების წაკითხვისას, იყო ის, რომ თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. გარკვეული დროის შემდეგ ემოციამ გაიარა და გაკვირვება დამეუფლა. კარგად რომ გავაანალიზე თქვენი ნათქვამი, გაკვირვებაც აღარ მქონდა იმის გამო, რომ მაშინვე მივხვდი, ეს შეფასება შედეგია იმ მძიმე გარემოსი რომელშიც თქვენ იმყოფებით. გარემოცვა რომელიც თქვენ შემოიკრიბეთ და რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებით, ხომ დაზიანებული ატომური რეაქტორის ეფექტის მატარებელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თქვენი გარემოცვის უდიდესი ნაწილი განსაკუთრებით პირადი მოტივების გამო საკუთარ მტრად მიმიჩნევს, ყველაფერი გასაგები ხდება. იმასაც თუ დავამატებთ, რომ თქვენი პიროვნება ცნობილია იმით, რომ ადვილად ექცევა გავლენის ქვეშ, ამის შემდეგ ნამდვილად არ ვარ არა თუ შეურაცხყოფილი, არამედ გაკვირვებულიც, – სწერს ოქრუაშვილი ივანიშვილს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მთელი ეს წერილი მიმართვის ფორმითაა დაწერილი.

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, გასული წლის მაისის წარუმატებელი მოვლენების შემდეგ, რომელშიც მისი წვლილიცაა, ერთგვარი მოჯადოებული წრე შეიკრა.

– ალბათ, დიდხანს ვერაფერი უშველიდა იმ უიმედობას, რომელმაც მაისის მოვლენების შემდგომ დაისადგურა ქვეყანაში, რომ არა თქვენი პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენა, რამაც მეც, ისევე, როგორც „ცვლილების“ მსურველ ყველა ქართველს, იმედი აღმიძრა. მიუხედავად თქვენი პირველი და საკმაოდ ნეგატიური შეფასებისა „ქართული პარტიის“ მიმართ, არანაირად არ გამინელებია ის დადებითი ემოცია, რაც თქვენი პოლიტიკაში ჩართვამ გამოიწვია.



ირაკლი ოქრუაშვილი

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ გამოჩენიდან ხუთი თვის განმავლობაში, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, თქვენი მხრიდან „ტალახის სროლის“ გარდა არაფერი მიუღია ჩვენს გუნდს, არც ერთ ჩვენგანს ერთი წუთითაც არ გვინანია ის სიახლე, რაც თქვენ შემოიტანეთ ოთხი წლის განმავლობაში დაჭაობებულ სივრცეში. იმ ფაქტსაც შევეგუეთ და სიჩუმით შევხვდით, საკუთარი პარტიის თავმჯდომარე „თამარ ქალივით“ რომ მოგვტაცეთ, რაზეც ყველა თავმოყვარე ორგანიზაცია, თქვენ თუ არა, მას მაინც საკადრის პასუხს გასცემდა. არც მაშინ არ ვთქვი არაფერი, როდესაც მე და ჩემს პარტნიორს ორი წლის განმავლობაში წვალებით შექმნილი „რუსთავის მედიის მართვის კომპანია“ თქვენი მოქმედებებითა და განცხადებებით დაგვინგრიეთ.

არც ახლა არაფრის თქმას არ ვაპირებდი, რადგან დღესაც მიმაჩნია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც დადებით როლს თამაშობთ იმ ბოროტების წინააღმდეგ, რაც სააკაშვილი და მისი გუნდია, – აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

ოქრუაშვილი შეგვახსენებს, რომ 7 თვეზე მეტია, საჯარო აქტიურობა სრულიად შეწყვიტა, არც ერთ პოლიტიკოსთან არ კონტაქტობს, არანაირი პოლიტიკური თუ სხვა პროექტის კეთებით აღარ არის დაკავებული და ამის ფონზე ოდნავ გაუკვირდა ივანიშვილის „ესოდენ დიდი ყურადღება და ეპითეტები“ მისდამი. მისთვის მიზეზი გასაგებია.

– კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, თქვენი გარემოცვის დიდ ნაწილს პირადი ზიზღი ამოძრავებს ჩემ მიმართ და მათი გავლენის ქვეშ იმყოფებით. აქ ერთ გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი, თქვენი გარემოცვის თქვენზე ზეგავლენა ჩემს პიროვნებასთან დაკავშირებით ვერანაირი უარყოფითი შედეგის მომტანი ვერ იქნება და არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე მიგიდგებათ საქმე და მაშინ ჩაერთვება თქვენი გარემოცვა, ეს შეიძლება სავალალო შედეგების მომტანი გახდეს ქვეყნისათვის. ნურც იმის მტკიცებას დაუწყებთ ხალხს, თუ როგორი დამოუკიდებელი ხართ და ერთპიროვნულად იღებთ გადაწვეტილებებს და არაფერს ეკითხებით თქვენს გარემოცვას, რადგან სწორედ ასეთი ერთპიროვნულობის შედეგებს ვიმკით სააკაშვილისაგან დღეს. ისე, მაგ „უნიკალური“ გარემოცვით თვით ზვიად გამსახურდიას გარემოცვასაც უდავოდ დიდ კონკურენციას გაუწევდით. ცხონებულმა კი, კარგად გემახსოვრებათ, საკუთარი გარემოცვის წყალობით როგორ დაამთავრა მოღვაწეობა.

ხუთი თვეა, რაც პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდით და მეტწილად იარლიყების მიკერებით, ოპოზიციაში პოლიტიკური დესტრუქციით თუ სხვა პოლიტიკოსების ლანძღვით უფრო მეტად ხართ დაკავებული, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკით. ეს კი თქვენს სისუსტეზე მეტყველებს. კარგად თუ გადაავლებთ თვალს თქვენს ხუთთვიან მოღვაწეობას, მკაფიოდ დაინახავთ, რომ ნათელაშვილი უფრო მეტჯერ გყავთ გალანძღული, ბურჯანაძე უფრო მეტჯერ გყავთ გაქილიკებული, გამყრელიძეზე უფრო მეტი აუგი გაქვთ ნათქვამი, ქართულ პარტიაზე აღარაფერს ვამბობ, ვიდრე სააკაშვილი და მისი გუნდი გყავთ გაკრიტიკებული. ურთულეს გზას ადგახართ და იქნებ სააკაშვილზე და მის რეჟიმთან ბრძოლაზე უფრო მეტი კონცენტრაცია მოახდინოთ, ვიდრე ჩვენზე, ჩვეულებრივ მოკვდავზე კრიტიკას გადააყოლოთ დრო.

თორემ სხვაგვარად მეც და ბევრი ჩემნაირი ადამიანიც ჩათვლის, რომ სხვებივით ოპოზიციაში ადგილის დასამკვიდრებლად და სააკაშვილისათვის ხელისუფლების გასაყოფად უფრო იბრძვით, ვიდრე მასზე გასამარჯვებლად. ხალხი თქვენგან ყოველდღიური სასიკეთო ცვლილების გეგმის მოსმენას უფრო ელის, ვიდრე იმის მოსმენას, დილით იოგას აკეთებთ თუ სტაფილოს წვენს მიირთმევთ. საზოგადოებას თქვენგან ის უფრო მეტად აინტერესებს, მოქალაქეობა თუ ვერ აღიდგინეთ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში თქვენს მეუღლეს დაგვისვამთ პრემიერ-მინისტრად თუ პარლამენტის თავმჯდომარედ, თუ თქვენი გარემოცვის რომელიმე „ღირსშესანიშნავ“ წარმომადგენელს, ვიდრე ის ჯაკომეტის ქანდაკებაში (ჩემი აზრით, ძალიან უგემოვნო, თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ) 110 მილიონი გადაიხადეთ თუ 120. იქნებ აჯობებდა, 20 მილიონად ათასი ქართველი (მათ შორის ჟურნალისტი) გაგეგზავნათ საზღვარგარეთ სასწავლებლად და ამით შეგეწყოთ სამოქალაქო საზოგადოების შექმნისათვის ხელი. გულით მსურს ცვლილება მოხდეს ქვეყანაში და მაგ ბოროტებას ბოლო მოეღოს, ამის გამო ვსარგებლობ და თავს უფლებას ვაძლევ კეთილი რჩევები მოგცეთ, განსხვავებით თქვენი გარემოცვისგან, – წერს ირაკლი ოქრუაშვილი.

ოქრუაშვილი წუხს, რომ ყველაზე რთულია, როდესაც აბსურდზე თავის მართლება უწევს ადამიანს.

– თუმცა თავის მართლებას იმაზე, რაც თქვენ დამაბრალეთ, ნამდვილად არ ვაპირებ. თქვენც ბევრჯერ მოგიწევთ ამ მდგომარეობაში ყოფნა. მე რომ ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა მინდოდეს, სულ დეტალურად ჩამოგითვლიდით იმ უამრავი ტყუილის შესახებ, რასაც თქვენ მიერ ხელისუფლების, განსაკუთრებით, პოლიციის თუ თავდაცვის სფეროს დაფინანსებაზე ამბობთ იმავე ინტერვიუში, სადაც მე მდებთ ბრალს. თქვენი მხრიდან ტყუილის თქმას ერთი პლუსი უდავოდ აქვს, ეგ პოლიტიკოსის თანმდევი უარყოფითი თვისებაა ანუ პოლიტიკოსად უკვე შემდგარი ხართ.



მაია ფანჯიკიძე

და ბოლოს, საზოგადოებამ აუცილებელია იცოდეს, მართლა ვთანამშრომლობ ხელისუფლებასთან და, მით უმეტეს, დღესაც მათი გუნდის წევრი ვარ თუ არა, როგორც თქვენ ამას ამტკიცებთ. თუ უახლოეს მომავალში საზოგადოებას წარუდგენთ ჩემი ხელისუფლებასთან კავშირის „ოდნავ დამაჯერებელ“ მტკიცებულებას მაინც, საჯაროდ ვდებ პირობას, რომ არა თუ პოლიტიკას დავემშვიდობები სამუდამოდ, არამედ ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან განზრახვაზე – საქართველოში დაბრუნებაზე ასევე სამუდამოდ ავიღებ ხელს. თუ თქვენ ამას ვერ გააკეთებთ, მეც და ბევრი სხვაც ჩათვლის, რომ თქვენც ისეთივე ტყუილისა და სიყალბის გზას ადგახართ, როგორსაც სააკაშვილი, – დასძენს ოქრუაშვილი და ივანიშვილს წარმატებებს უსურვებს. თუმცა, წერილს აქვს პოსტსკრიპტუმიც: თუმცა, შესაძლოა ეგ ყოველივე ისევე უპასუხისმგებლოდ წამოგცდათ, როგორც განცხადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მოქალაქეობა გქონდათ მიღებული, რის გამოც დაკარგეთ საქართველოს მოქალაქეობა.

ირაკლი ოქრუაშვილის წერილთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად, კომენტარი „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილმა შეისწავლა ყველა პოლიტიკური პარტიის თუ სუბიექტის მსოფლმხედველობა, წარსული და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც ამის შემდეგ მიიღო.

– ეს იმას ნიშნავს, რომ რაც ბიძინა ივანიშვილმა „ასავალ-დასავალში“ თქვა, ყველაფერი გამყარებულია ფაქტებით. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ აკრიტიკებს ივანიშვილის პოლიტიკური ძალა ხელისუფლებას და რატომ ხარჯავს დროს ოპოზიციის კრიტიკაში, გეტყვით, რომ ხელისუფლების კრიტიკა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი თემაა, თუმცა ეს მასმედიაში ნაკლებ ასახვას პოულობს. ხელისუფლების მისამართით გამოთქმული კრიტიკაც აუცილებლად იქნება არგუმენტირებული და ფაქტებით გამყარებული, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი მისთვის არადამაჯერებელი და არასანდო პოლიტიკური ფიგურაა.

– იგი გახლდათ ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იმ მოვლენებისა, რომლის შედეგებთან დღესაც გვიწევს გამკლავება, ვგულისხმობ მის პირდაპირ მონაწილეობას თუნდაც ოსეთის კონფლიქტში. გარდა ამისა, ბევრ კითხვას ბადებს მისი გათავისუფლების შემდეგ განვითარებული მოვლენებიც – დაპატიმრების მეორე დღესვე გამოუშვეს, ხელისუფლების ხელშეწყობით ქვეყნიდან გაამგზავრეს, თავს ძალიან კარგად გრძნობს იქ, სადაც ცხოვრობს, აქედან გამომდინარე, ახლოა ჭკუასთან მოსაზრება, რომ ის ხელისუფლების მოთამაშეა. აღარაფერს ვამბობ მის მიერ გაცხადებულ „მრისხანების დღეზე“ და აღარც იმაზე, რომ იგი ეროსი კიწმარიშვილის პარტნიორია, – აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მისივე განმარტებით, ოქრუაშვილის მისამართით ბევრი კითხვა არსებობს და ვიდრე სხვის ტყუილებზე ისაუბრებს, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, უპირველეს ყოვლისა, ამ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი.

– ბიძინა ივანიშვილს არგუმენტების გარეშე საუბარი არ სჩვევია. შესაბამისად, ყველა იმ საკითხზე, რაზეც მას აზრი გამოუთქვამს, იგულისხმეთ, რომ აქვს დამადასტურებელი ფაქტები. ერთ მშვენიერ დღეს ამ ფაქტების გამომზეურების დროც დადგება, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე განმარტებით, ბიძინა ივანიშვილს არასოდეს დაუფინანსებია იარაღისა და სხვა სახის აღჭურვილობის შეძენა.

– მან დააფინანსა ამ სფეროს კარგი მომენტები და ბევრი სხვა რამ – სკოლები, რომლებიც გარემონტდა ბოლო წლების განმავლობაში, მთლიანად იყო ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებული, თუმცა ლენტებს სხვები ჭრიდნენ და მისი სახელი არავის უხსენებია. ბიძინა ივანიშვილს თვითონაც არ უნდოდა, რომ მისი სახელი ნახსენები ყოფილიყო. დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ხელისუფლებისთვის შექმნილ სახელფასო ფონდს. ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ ახალ მთავრობას კორუფციაში ჩაბმის საფრთხე არ ჰქონოდა, – აღნიშნა ფანჯიკიძემ.

# როგორ „გაყიდა“ პროკურორი თავისმა პარტნიორმა

შალვა ჯოხაძე

გუშინ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კორუფციის ბრალდებით, დაკავებულია მთავარი პროკურატურის პროკურორი კახა ცნობილაძე.



– გამოძიებით დადგინდა, რომ უკანონო შემოსავლების მიზნით, მან შექმნა საკუთარი იურიდიული კომპანია, სადაც იურიდიული მომსახურების მისაღებად ამისამართებდა თავის წარმოებაში არსებულ საქმეებში ბრალდებულის სტატუსის მქონე პირებს და მათთვის საშეღავათო პირობების დაპირების სანაცვლოდ იღებდა ფულად გასამრჯელოს.

ჩვენ ვართ მიუკერძოებელნი საკუთარი უწყების თანამშრომელთა მიმართ, რითაც ვიცავთ საზოგადოების ინტერესებს, – განაცხადეს მთავარ პროკურატურაში.

ცნობილაძესთან ერთად დაკავებულია ადვოკატი გოგა გაჩეჩილაძეც.

გუშინვე, პროკურატურამ დაკავებული პროკურორის იურიდიული ფირმის დირექტორის გიგა გაჩეჩილაძის აღიარებითი ჩვენება გაავრცელა.

– მე და კახა ცნობილაძემ მისი მეუღლის, თეა ვარძელაშვილის სახელზე დავარეგისტრირეთ შპს „კოლუმბო“. კახა უზრუნველყოფდა იურიდიული და ფიზიკური პირების ჩემთან დაკავშირებას; მე, როგორც დირექტორი, ვუფორმებდი მათ კონტრაქტს, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მე და კახას შორის იყოფოდა, – აცხადებს გაჩეჩილაძე პროკურატურის მიერ გავრცელებულ ჩვენებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა ძაგანია: „სააკაშვილი თავისი ნებით არ წავა“

## ლეიბორისტებს აქციის ჩატარებაზე ნებართვა მისცეს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ საპროტესტო აქციების სერიას განაგრძობენ და ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, ყველა იმ ადამიანს ელიან აქციაზე, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საქართველოს ხვალინდელი დღე.**

ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა გუშინ დედაქალქის მერიაში შეიტანეს განაცხადი 17 თებერვალს, 15 საათზე, დაგეგმილ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით. 17 თებერვლის აქცია სანქცირებული იქნება.

როგორც გუშინ გამრთლ პრესკონფერენციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდგივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, პარტიამ ოფიციალურად მიმართა აქციის შესახებ დედაქალაქის მერიას, რათა დაცული ყოფილიყო კანონის ყველა მოთხოვნა.

– ეს გავაკეთეთ იმისთვის, რომ აქციის არცერთ მონაწილეს თმის ღერი რომ არ ჩამოუვარდეს. იცით, რომ ამ რეჟიმმა სამწუხარო მაგალითები გვაჩვენა აქციების დარბევა-დახოცვის. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ყველანაირი სამართლებრივი მხარე დავიცვათ და განაცხადი შევიტანეთ, რათა სანქცირებული იყოს 17 თებერვლის აქცია პარლამენტთან, – განაცხადა კახა ძაგანიამ. მისი თქმით, არჩევნების შემდეგ შედეგების გაპროტესტება გვიან იქნება.

შალვა ნათელაშვილის პარტიაში მიაჩნიათ, რომ საპარლამენტო არჩევნები გაყალბდება და არის საშიშროება იმისა, რომ სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა კვლავ უმრავლესობით დარჩეს ხელისუფლებაში. ეს კი ქართველმა ხალხმა არ უნდა დაუშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხი.

– ჩვენ ვთვლით, რომ დღესვე უნდა დავიწყოთ ბრძოლა, რათა სააკაშვლის მიერ მომავალი საპარლამენტო არჩევნები არ იქნეს გაყალბებული. სააკაშვილი ამას აპირებს. ის აპირებს მუდმივად დარჩეს საქართველოს ხელისუფლებაში და ძალაუფლების უზურპირება მოახდინოს არჩევნების გაყალბებით. იმის გამო, რომ შემოდგომაზე საპარლამენტო არ ჩევნები არ იქნეს გაყალბებული და სააკაშვილი სამუდამოდ არ დარჩეს ხელისუფლებაში, დღესვე ყველას ვეძახით საბრძოლველად და გვინდა დღევე დავიწყოთ პროტესტის გამოხატვა ამ უკანონობაზე, – აღნიძნა ძაგანიამ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ყველა უნდა მივიდეს პარლამენტის წინ ლეიბირისტების თაოსნობით გამართულ აქციაზე, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საქართველოს მომავალი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის სოციალური განვითარება, ჩვენი ბავშვების მომავალი, შიდა და გარე პოლიტიკა და ა.შ. ძაგანიას თქმით, ყველამ, ვისაც საპროტესტო განწყობა აქვს, თავისი ბრძოლისუნარიანობით ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა უნდა დაანახოს საერთაშორისო საზოგადოებას.

პრესკონფერენციის ბოლოს ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივან კახა ძაგანიას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***– ბატონო კახა, ქართული ოპოზიციური სპექტრისა და ექსპერტების პარალელურად ობამა-სააკაშვილის შეხვედრის ფონზე დასავლელი ექსპერების ფიქრობენ, რომ 2012 წლის საპარლამენტი არჩევნები საქართველოში გაყალბდება.***

– სააკაშვილი თავისი ნებით არ წავა. ის ბუნებით არის მხდალი. მას ეშინია ხალხის დიდი რაოდენობის და ამიტომ უნდა ვებრძოლოთ აქციებით და არა მხოლოდ აქციებით არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ. აბსოლუტურად ყველა, პოლიტიკოსიც და საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი, ვისაც აინტერესებს არჩევნების პოლიტიკური ბედი, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ არჩევნები იქნება გაყალბებული. სამწუხაროდ, სააკაშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიაში ძალიან მავნე, ცუდი მაგალითები გვაჩვენა არჩევნების გაყალბებისა. ამიტომ ყველანი ვთანხმდებით არჩევნების გაყალბებაზე. ჩვენთვის მართლაც გაუგებარია, როდესაც ჩვენი ოპოზნენტი პოლიტიკური ძალები ამბობენ, რომ აქციების სახით ბრძოლას ჯერ აზრი არ აქვს. უნდა მივიდეთ არჩევნებზე და არჩევნების გაყალბების შემდეგ შესაძლებელია დავიწყოთ ბრძოლა. თან ისეთი გამოცდილი პილიტიკოსები ამბობენ ამას, რომლებსაც როგორც იტყვიან, ჭიპი აქვთ პოლიტიკაში მოჭრილი. ეს ბევრ ადამიანში გაკვირვებას იწვევს. ეს განცხადება კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ვითომ ხელისუფლებას უპირისპირდება, ერთი საჭადრაკო დაფის პაიკები არიან, რომელსაც ვაშინგტონი ათამაშებს. ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილზე ვამახვილებ ყურადღებას.

***– თქვენი აზრით, ოპოზიცია შეცდომას უშვებს, როდესაც ხელისუფლებაზე ქუჩის აქციებით წეზოლაზე არ ფიქრობს?***

– ორი ვარიანტია: არ შეცდომას უშვებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც იძახის, რომ საპროტესტო აქციები არის მიუღებელი და საპარლამენტო არჩევნებს აქციების გარეშე უნდა შეხვდნენ; ან შეგნებულად კეთდება ეს და არის ერთი სქემის, ერთი თანაშის ნაწილი, რომელსაც ასრულებს ივანიშვილის კოალიცია ძალიან წარმატებულად. თან, საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის და ეუბნება, არ გვინდა არავითარი პოლიტიკური აქციები; რომ აქციების დრო წასულია; და რომ აქციებით ვერაფერს მივაღწევთ. ვთვლით, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი ერთმანეთთან დაპირისპირებულები კი არ არიან, ვაშინგტონიდან წარმოებული თამაშის ნაწილები არიან. მკითხველს შევახსენებ, რომ საპროტესტო აქციები არის პოლიტიკური ბრძოლის ძალიან ეფექტური საშუალება. ეს პოლიტიკური ძალები, რომლებიც დღეს აქციებს ემიჯნებიან, ძალიან აკნინებენ საპროტესტო აქციებს. თუმცა მკითხველმა იცის, რომ 2007 წელს საპროტესტო აქციებით მივაღწიეთ იმას, რომ დიქტატორი და ტირანი სააკაშვილი გადადგა. მან დატოვა პრეზიდენტის პოსტი და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. ის უკვე მედლის მეორე მხარეა, იმ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა რა როლი შეასრულეს საბოლოო შედეგისთვის. აქციების მიზანი იყო სააკაშვილის გადადგომა და მიზანი იმ დროს მიღწეულ იქნა – სააკაშვილი გადადგა. ასე რომ, საპროტესტო აქციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოში, ასევე ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნებით საკმაოდ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს.

***– ივანიშვილმა ცალსახად დააფიქსირა, რომ რევოლუციას ემიჯნება. მას უნდა არჩევნებით მოხდეს საქართველოში სახელისუფლო ცვლილება.***

– ივანიშვილმა რევოლუციურ მანტიაში შეფუთა საპროტესტო აქციები, რაც არასწორია. ეს იგივეა, რაც მღვდელი გაპონობა. ივანიშვილი პირდაპირ ხელისუფლებას ხელს უხსნის, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეებს დაარქვას რევოლუციონერები. საპროტესტო აქციები ეს არ არის რევოლუცია. საპროტესტო აქციები არის კანონიერი, კონსტიტუციური პოლიტიკური ბრძოლის საშუალება. ეს მღვდელი გაპონი ბიძინა ივანიშვილის სახით საპროტესტო აქციებს რევოლუციას არქმევს და ამით პირდაპირ ხელს უხსნის ხელისუფლებას, რომ მომიტინგეები დაარბიოს, დახოცოს და შემდეგ მათ რევოლუციონერები დაარქვას. ხელისუფლება ივანიშვილის განცხადებას დაეყრდნობა, რომელიც იძახის, რომ აქცია, ეს არის რევოლუცია და ამ მიზეზით გაუსწორდება მომიტინგეებს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ რევოლუციონერები ვართ, ჩეგევარები ვართ და იარაღით ხელში ვაპირებთ ბაზუკების საშუალებით სააკაშვილის მოცილებას. ჩვენ უამრავი სხვა კანონიერო პოლიტიკური მეთოდი ვიცით, თუ როგორ უნდა მოვიცილოთ სააკაშვილი. ამისთვის საჭიროა ხალხის მხარდაჭერა ჩვენ მიერ შეთავაზებულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე.

***– დაბოლოს, ფაქტია, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ ოპოზიცია – ლეიბორისტებიც მათ შორის, ერთმანეთს უფრო მეტად აკრიტიკებთ, ვიდრე ხელისუფლებას. სწორია ოპოზიცია რომ ერთმანეთს თავს ესხმით? ეს ხელისუფლებიდან მართული პროცესია?***

– ცოტა კორექტირებას შევიტან კითხვაში. მე ვფიქრობ, რომ არის ორი მხარე: სააკაშვილი და ივანისვილი და აქეთ ლეიბორისტული პარტია. რა თქმა უნდა, ჩვენ ივანიშვილს და სააკაშვილს ვებრძვით. იმიტომ, რომ ისინი არიან ერთი თამაშის მონაწილენი, რომელსაც ვაშინგტონი ხელმძღვანელობს. ამიტომაც ჩვენი სამიზნე ივანიშვილიც არის და სააკაშვილის. ესენი არიან ერთ სუბიექტად ქცეული ორი ადამიანი. სამწუხაროდ, ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღეებიდან, პირდაპირი სამიზნე გახდა ყველაზე ეროვნული და ქართული პარტია ლეიბორისტული პარტია და მისი ლიდიერი შალვა ნათელაშვილი. ივანიშვილმა ბევრად უფრო მეტჯერ გალანძლა შალვა ნათელაშვილი და სცადა უფრო ბევრი დარტყმა მოეყენებინა ლეიბორისტული პარტიისთვის, ვიდრე სააკაშვილს და ხელისუფლებას. მე გაგახსენებთ, რომ ყველა აქციის წინ, რომელიც ჩვენ მიერ დაინიშნა, ივანიშვილმა დარტყმა მოაყენა ჩვენ აქციას. ანუ ივანიშვილი უფრო მეტად ებრძვის ნათელაშვილს და მის პარტიას, ვიდრე სააკაშვილს.




## „სამართლიანი საქართველოსთვის“ ბენზინზე არსებულ ტარიფს აპროტესტებს

„სამართლიანი საქართველოსთვის“ საქართველოში ბენზინის საწვავზე არსებულ ტარიფს აპროტესტებს და მოითხოვს საქართველოში ბენზინის ბიზნესში მომუშავე კომპანიებისგან საწვავზე ფასის შემცირებას.

„საქართველოში ბენზინის საბითუმო ბაზარზე ,რამოდენიმე წლის განმავლობაში ,საქმიანობდა 5 კომპანია: „ვისოლი“, „ლუკოილი“, „ეკო“, „რომპეტროლი“ და „სენტა“. 2007 წელს საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, რომელიც აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიისგან,“სოკარისგან“ ყიდულობს საწვავს. დღესდღეობით საწვავის ბაზარი მთლიანად მონოპოლიზებულია. საბითუმო ბაზარს აკონტროლებს „სოკარი“ და „გალფი“. ეს უკანასკნელი, 2011 წელს გამოჩნდა ქართულ ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ ფლობს სამ კომპანიას „მაგნატს“, „სენატას“ და „ეკოს“. „გალფის“ ერთერთი მფლობელია დავით კეზერაშვილი, რომლისთვისაც ამ ბიზნეში მოღვაწეობა ახალი ხილი ნამდვილად არ არის, იგი 50%-ი აქციების მფლობელია კომპანია „უნი ჯგუფის“, რომელიც აწარმოებდა რუსული კომპანია „ლუკოილის“ საწვავის დისტრიბუციას. აღნიშნული ფაქტი, ნათლად მეტყველებს, რომ ხელისუფლების წრეები, ერთის მხრივ ხალხის დასანახავად ებრძვიან რუსულ იმპერიალიზმს, ხოლო ფარულად მშვენივრად გრძნობენ თავს რუსული ბიზნესის წარმომადგენლებთან ბიზნეს ურთიერთობაში“, – ნათქვამია მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ განცხადებაში.

პარტიაში ასკვნიან, რომ სწორედ ხელისუფლების მიერ, მასთან დაახლოვებული ბიზნეს წრეების მონოპოლისტური საქნიანობის ხელისშეწყობის გამო, 1 ლ ბენზინის ფასი საქართველოში 31 თეთრით უფრო ძვირია გერმანიაზე, 42 თეთრით ძვირი პოლონეთზე, 24 თეთრით ძვირი საფრანგეთზე.

მედიანიუსი

## პრეზიდენტმა უმრავლესობას აშშ-ში ვიზიტის შესახებ ანგარიში ჩააბარა

პრეზიდენტის სასახლეში გუშინ მიხეილ სააკაშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრა გაიმართა.

ქართული ტელეკომპანიებით გავრცელებული ვიდეომასალის თანახმად, მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრის დასაწყისში უმრავლესობის წევრებს აშშ-ში ვიზიტის შესახებ ერთგვარი ანგარიში ჩააბარა.

პრეზიდენტმა საუბრისას ორ მნიშვნელოვან თემაზე გაამახვილა ყირადღება. კერძოდ, აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე და საქართველოს თავდაცვის დახმარებაზე. ასევე, ბათუმის ტექნიკური უნივერსიტეტის დაფინანსებაზე.

სააკაშვილის განცხადებით, აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მოსამზადებლად დაიწყო დისკუსია და უახლოეს კვირეებში თბილისში ჩამოვა ჯგუფი, რომელიც მთავრობების დონეზე იმუშავებს.

პრეზიდენტის შეფასებით, ეს საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაჩენის წყარო იქნება. მისივე შეფასებით, რეგიონის მასშტაბით ასეთი ხელშეკრულება მსოფლიოს ასეთ დიდ ბაზართან ჯერ არ გაფორმებულა.

ინტერპრესნიუსი

# „რესპუბლიკელები“ კონტროლის პალატის მოთხოვნის შესრულებაზე უარს ამბობენ

შორენა კოწოწაშვილი

გუშინ რესპუბლიკურმა პარტიამ განცხადება გაავრცელა კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროს ნათია მოგელაძის სახელზე.

– რესპუბლიკური პარტია არ და ვერ წარმოგიდგენთ მოთხოვნულ ინფორმაციას, – ნათქვამია რესპუბლიკელების განცხადებაში, რომელსაც ხელს გიგლა აგულაშვილი აწერს.

განცხადების თანახმად, რესპუბლიკურ პარტიას არ გააჩნია კონტროლის პალატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. კონტროლის პალატის წერილში მითითებული კანონის ნორმები არ ითვალისწინებს არ ითვალიხსინინებს პარტიის მიერ სხვა ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების 3 დღის ვადაში მოწოდების ვალდებულებას. მას არ ითვალსიწინებს არც წერილში ნახსენები კანონით თქვენთვის „მონიჭებული მანდატი“.

– აღნიშნული მანდატის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ მოგვთხოვოთ ინფორმაცია მხოლოდ ჩვენი პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით, რასაც შეუფერხებლად მიიღებთ. უსაფუძვლოა

**კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაინტერესება „რესპუბლიკური ინსტიტუტის“ ფინანსური ანგარიშბრუნვის შესახებ, შესაძლოა რესპუბლიკურ პარტიაზე გარკვეულ შეტევად შეფასდეს. კონტროლის პალატა დაჟინებით ითხოვს „რესპუბლიკური ინსტიტუტის“ 2011 წლის ფინანსურ ანგარიშბრუნვას, რესპებლიკური პარტიის ხელმძღავენელობა კი აღნიშნული ინფორმაციის გაცემას არ აპირებს.**

თქვენი მითითება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქარტველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის იმ მოთხოვნაზეც, რომლის მიხედვით პარტიამ თავის საფინანსო დეკლარაციაში უნდა ასახოს მასთან დაკავშირებული ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირის ხარჯები. აღნიშნული ნორმა რესპუბლიკურ პარტიას არ ავალდებულებს თავის 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე ფინანსურ ანგარიშში ასახოს „რესპუბლიკური ინსტიტუტის“ ხარჯები, ვინაიდან ამგვარი ვალდებულება პარტიისთვის ძალაში შევიდა 2011 წლის 30 დეკემბრიდან. აღნიშნული მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული არც თქვენ მიერ დადგენილ ანგარიშგების ფორმებში. ლესპიბლიკური ინსტიტუტი 2011 საანგარიშო წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო „პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ან სხვაგვარად კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი“, რადგანაც აღნიშნული სტატუსი კანონმა გაითვალისწინა მხოლოდ 2011 წლის 30 დეკემბრიდან.




2012 წლის 30 იანვარს მოგწოდეთ 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური ანგარიში. ამ ანგარიშის ტაობაზე პარტიის ოფიციალურ წარმოამდგენელთან 7 თებერვალს გამართულ შეხვედარზე თქვენ არ გამოგითქვამთ რაიმე დამატებითი მოთხვნა და ანგარიში განთავსდა თქვენს ვებ-გევრდზე. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოუდგენლობა ვერ ჩაითვლება ვერც კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევად – კონტროლის პალატისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც გამოიწვევდა პარტიის დაჯარიმებას 5 000 ლარით; და ვერც 34-ე მუხლიდ მე-7 პუნქტით გათვალსიწინებულ ქმედებად – კონროლის პალატის მოთხოვნის განზრახ შეუსრულებლობა, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის შეჩერების საფუძველი, – ნათქვამია რესპუბლიკური პარრიის მიერ ნათია მოგელაძის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში, რომელსაც პარტიის სახელით ხელს გიგლა აგულაშვილი აწერს.

ამასთანავე რესპუბლიკელები შეუაშვილის იწყებისგან მომავალში ითხოვენ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოწოდებას, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიულ პირს „რესპუბლიკურ ინსტიტუტს“, ან სხვა რომელიმე იურიდიულ პირს, მიენიჭა აღნიშნული კანონის 26 პრიმა მუხლით გათვალისწიინებული სტატუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ გვიმკაცრებს თურქეთი სავიზო რეჟიმს

ნათია ხურცილავა

საქართველოსა და თურქეთს შორის დიდ მეგობრობაზე, სამაგალითო მეზობლობაზე ბოლო დროს ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ამ მეგობრობას ისეთი პირი უჩანს, რომ შეიძლება თვალსა და ხელს შუა გაქრეს.




ამის მიზეზი კი, შეიძლება, თურქეთის მიერ მიღებული კანონი აღმოჩნდეს სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მოქალაქეებზეც გავრცელდება.

თავის დროზე, როდესაც ორმა სახელმწიფომ გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე დაიწყო საუბარი, თურქეთ–საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა განაცხადა, ეს ჩვენი რეგიონისთვის უზარმაზარი ცვლილება იქნებაო.

– ისევე, როგორც ეს ევროკავშირშია, ჩვენს მოქალაქეებსაც შეეძლებათ გამგზავრება ერთმანეთთან მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით. ასეთი იყო თურქულ–ქართული ოცნება, რომელიც, შეიძლება ვთქვათ, ხუხულასავით დაინგრა.

ე.წ. „ერთიან კავკასიად“ წოდებული ეს პროექტი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავითოღლუსა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ იქნა განხილული.

– ჩვენ ერთმანეთს გავუღეთ კარი, რათა ჩვენს რეგიონს მოვუტანოთ მშვიდობა, განვითარება და ეკონომიკური ძლიერება, – ეს ფრაზა თურეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ეკუთვნის.

საქართველოს თურქეთთან ხანგრძლივი ისტორიული და სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს.

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, ჩვენი ქვეყანა სამი კავკასიური ქვეყანისა და თურქეთს შორის ალიანსის ჩამოყალიბების წინადადებით გამოდიოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ თურქეთის მეჯლისის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსაც და მის მოქალაქეებსაც ეხებათ, რამდენად შეიძლება თურქეთი სანდო პარტნიორი აღმოჩნდეს?

– თურქეთს და საქართველოს შეუძლიათ რეგიონში ევროკავშირის ტიპის თანამშრომლობას დაუდონ სათავე და პროცესში სხვა მეზობელი ქვეყნებიც ჩართონ, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას დროს სჭირდება, – აცხადებდა თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრის თავმჯდომარე. გარდა იმისა, რომ თურქეთი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოა, თურქეთთან საქართველოს პოლიტიკის, თავდაცვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტირების და კულტურის სფეროებში თანამშრომლობა აკავშირებს.

თანამშრომლობის გაღრმავება და სასაზღვრო მიმოსვლის გაუმჯობესება, რომელიც თავის დროზე მიზნად ისახავდა კავკასიაში ლამის ღია ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ თურქეთის მიერ მიღებული კანონი, სავიზო რეჟიმის შეზღუდვასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებზეც ვრცელდება.

გასულ კვირას საგრეო საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებდა ჟურნალისტების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. მეტიც, ქართული მხარე ვარაუდს გამოთქვამდა, რომ თურქეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთვის გამონაკლისი იქნებოდა, მაგრამ ქართული მხარის ვარაუდი არ გამართლდა.

ქართულმა დიპლომატიამ რატომ ვერ შეინარჩუნა მიღწეული შეთანხმება?

თუმცა ამ საკითხზე მხარეებს შორის მოლაპარაკებები გრძელდება და რამდენად იქნება შენარჩუნებული შეთანხმება, ამას დრო გვიჩვენებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განმარტებით, საქართველოსა და თურქეთს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება სავიზო ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც თურქეთის მიერ მიღებულ კანონპროექტს ეწინააღმდეგება.

– ქართული მხარე მიიჩნევს, რომ სამართლებრივ უზუსტობას აქვს ადგილი. ჩვენი პოზიციაა, რომ არსებული ცვლილება წინააღმდეგობაშია ორმხრივ საერთაშორისო შეთანხმებასთან და დოკუმენტები შესაბამისობაში მოსაყვანია, – განაცხადა კალანდაძემ.

როგორც გაირკვა, აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომელშიც ჩართულია როგორც საგარეო უწყება, ისე შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თურქეთის პარლამენტმა სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით ცვლილებები განახორციელა, რომლის მიხედვითაც, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს თურქეთის ტერიტორიაზე სამი თვით ყოფნის უფლება აქვთ, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ, მათ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შეეძლებათ. კანონი მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან შევიდა ძალაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ თურქეთსა და საქართველოს მყარი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობა აკავშირებთ და კანონი, რომელიც თურქეთის მეჯლისმა მიიღო, წინააღმდეგობაში მოდის იმ სხვა შეთანხმებასთან, რომელიც ორ ქვეყანას შორის არის გაფორმებული. მათ შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით.

– ქართული მხარე მიიჩნევს, რომ სამართლებრივ უზუსტობას აქვს ადგილი. ჩვენი პოზიცია არის, რომ არსებული ცვლილება წინააღმდეგობაშია ორმხრივ საერთაშორისო შეთანხმებასთან და შესაბამისობაშია მოსაყვანი. სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისე შინაგან საქმეთა სამინისტრო, შესაბამისი ჯგუფები, განსაკუთრებით საკონსულო დეპარტამენტი ძალიან აქტიურად მუშაობდნენ იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეების ინტერესები დაცული იქნას, – აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ბოლო დროს ცხინვალის იკუპირებულ რეგიონში განვითარებულ მოვლენებზეც გააკეთეს კომენტარი.

საქართველოს დიპლომატიური უწყება ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად ოკუპანტ ძალას აკისრებს.

კალანდაძის თქმით, რუსეთს, რომელიც უკანონოდ იმყოფება სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ შესწევს უნარი, დაიცვას მოსახლეობის უფლებები. – ძნელია ოფიციალური თბილისიდან გაკეთდეს რაიმე შეფასებები იქ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს დე-ფაქტო კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თუმცა მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს იმას, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სუფევს სრული განუკითხაობა და სრული უპატივცემლობა კანონის მიმართ, რაზეც პასუხისმგებელი ოკუპანტი მხარეა“, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, სასაზღვრო ზონებში საზენიტო-სარაკეტო სისტემების გაძლიერების შესახებ, რუსეთში დაგეგმილ არჩევნებს და ნატო-ს ჩიკაგოს სამიტს უკავშირებს. როგორც ნინო კალანდაძემ ბრიფინგზე განაცხადა, ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში პოზიტიური განცხადებები გაკეთდება, რაც რუსეთს აღიზიანებს.

– ძნელია, ამოიკითხო რაიმე ლოგიკა რუსულ ქმედებებში, თუმცა იმდენად, რამდენადაც ჩვენ იმ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, რომელიც ადეკვატური არ არის თავის მოქმედებებში, განსაკუთრებით, სამხედრო მიმართულებით, ნებისმიერ ვითარებაში სიფხიზლე გვმართებს, – განაცხადა კალანდაძემ.

რუსეთის თავადაცვის სამინისტრო ქვეყნის ზღვისპირა და სასაზღვრო რაიონებში სარაკეტო-საზენიტო კომპლექსების ჩ-400 „ტრიუმფი“ ახალ პარტიას განათავსებს. სავარაუდოდ, ამ სისტემას წელს პირველ რიგში დასავლეთის სამხედრო ოლქი მიიღებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ავლანეთში ვიზიტით იმყოფებოდა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ბრიფინგზე განაცხადა, ვიზიტი საკმაოდ წარმატებული იყო.

ვიზიტის ფარგლებში ვაშაძემ შეხვედრა თავის ავღანელ კოლეგასთან გამართა. – ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ გრიგოლ ვაშაძეს თავის კოლეგასთან შეხვედრის ფარგლებში საუბარი ჰქონდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე, მას შემდეგ, რაც სამშვიდობო ოპერაცია დასრულდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკური ურთიერთობაც გაღრმავდება, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კალანდაძის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება.

– ავღანელმა კოლეგებმა დახმარება რამდენიმე სფეროში გვთხოვეს. დეტალების განხილვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ სამთავრობო კომისიის შექმნის დრო მოვიდა. ავღანეთს ინფრასტრუქტურა სჭირდება. ავღანეთს ასევე სჭირდება სამშენებლო კომპანიები და ჩვენი გამოცდილების გაზიარება ანტიკორუფციული და ეფექტური სამართალდამცავი სტრუქტურების შექმნის კუთხით, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

# ჰესების პროექტებს ხელისუფლება სპეცრაზმის დახმარებით იტაცებს

გულიკო ბალაძე

სააკაშვილმა საქართველოს მდინარეები უცხოელებზე გაყიდა და ჰესებისა და კაშხლების მშენებლობის ბუმი გამოაცხადა. ამ პროცესში იკვეთება, რომ ხელისუფლებას არც ერთი ენერგოობიექტის პროექტი არ აქვს.

არ აქვთ გაანგარიშებული არც ერთი ენერგოობიექტის ტექნიკური თუ სხვა მახასიათებლები.

ხელისუფლებას არ აქვს გამოთვლილი აგრეთვე, რა მოგება მოაქვს ამ ჰესებს ქართული სახელმწიფოსთვის, მოსახლეობისთვის სხვადასხვა თვალსაზრისით. სამაგიეროდ, დიდ კორუფციულ გარიგებებზე შეთანხმებს დებენ.

ალბათ, შევარდნაძის კორუფციონერ ჩინოვნიკებს შეშურდებათ, სააკაშვილის ხელისუფლების ჩინოვნიკები ისეთი კორუფციული სქემებით მუშაობენ.

ერთი კორუფციული სქემა „ჰიდროსაპროექტო“ ინსტიტუტის დირექტორმა ნიკოლოზ მაქაცარიამ გაშიფრა.

ხელისუფლებას ყველა მდინარეზე განზრახული აქვს დიდი თუ პატარა ჰესების მშენებლობა. შესაბამისად, მდინარეების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში აქვთ განთავსებული და როცა ვინმე დაინტერესდება კონკრეტულ მდინარეზე ჰესის მშენებლობით, შემდეგ იწყება პროექტის მოპოვება უფასოდ და სახელმწიფოს მეშვეობით მისი შესყიდვა.

კერძოდ: პროექტის მოპოვების ოპერაცია იწყება ენერგეტიკის სამინისტროდან, ანუ იწყება კორუფციული ინტერესების რეალიზაცია სახელმწიფო დაწესებულებიდან და ამავე სახელმწიფო დაწესებულებაში ბრუნდება.

ენერგეტიკის სამინისტროდან რეკავენ ჰიდროსაპროექტო ინსტიტუტში და თუ ვინმე გადაელობებათ ამ გზაზე, პროექტები სპეცრაზმების ჩარევით, ძალით გააქვთ, ანუ ამ მიზნის აღსასრულებლად სპეცრაზმის გამოყნებასაც არ ერიდებიან.

მას შემდეგ, რაც პროექტს მოიპოვებენ, ოფშორში დარეგისტრირებულ ფირმას გადასცემენ (რომელიც, როგორც ჩანს, ასევე ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების, ანუ დაინტერესებული პირებისაა), შემდეგ კი მილიონებს ახდევინებენ საქართველოს სახელმწიფოს.




„ჰიდროპროექტიდან“ გატანილ პროექტში საქართველოს სახელმწიფო სადღაც ოფშორში დარეგისტრირებულ რომელიღაც ფირმას მილიონებს უხდის. რატომ? როცა შესაძლებელია პროექტი ადგილზე მომზადდეს?

– ხელისუფლებას არც ერთი ენერგოობიექტის პროექტი არ აქვს. ენერგეტიკის სამინისტროდან დარეკავენ, მოვლენ, პროექტს წაიღებენ, ინგლისურად ათარგმნინებენ და შემდეგ ხდება მისი სახელმწიფო შესყიდვა. თავდაპირველად მოვიდნენ, სია მოიტანეს, მაგრამ პროექტები არ გავატანე. შევთავაზე, თუ ეს საჭირო იყო, ერთად გვემუშავა ჩვენს ოფისში. თუ ამის აუცილებლობა იყო, ჩვენს პროქტებზე ისევ ჩვენ ვიმუშავებდით, მაგრამ უარი გვითხეს, – განაცხადა ნიკოლოზ მაქაცარიამ, – პროექტები ძალით წაიღეს. 2008 წელს 50 სპეცრაზმელი მოიყვანეს, რომლებსაც პროექტები გაჰქონდათ, მე კი ვიდექი და ლამის ვტიროდი. მათ შესაჩერებლად ვერაფერს ვაკეთებდი. მათი შეჩერება ვერ შევძელი და პროექტები გაიტანეს, – განაცხადა ნიკოლოზ მაქაცარიამ.

როგორც ნიკოლოზ მაქაცარიამ განაცხადა, პირველი თავდასხმა „ჰიდროსაპროექტო“ ინსტიტუტზე 2008 წელს მოხდა. ეს მან 2008 წელსაც გაახმოვანა, თუმცა, მას შემდეგ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. სამაგიეროდ კი, სასჯელი მიიღო.

რა სასჯელი მიიღო ხელისუფლების ნამოქმედარის გამჟღავნების გამო ნიკოლოზ მაქაცარიამ, ამაზე აღარ საუბრობს.

მაქაცარია არც იმაზე საუბრობს, ხელისუფლების რომელი ჩინოვნიკები არიან ჩართული დიდ კორუფციულ გარიგებებში. თუმცა, აღნიშნავს, რომ ამ სფეროში, კერძოდ კი, მდინარეების უცხოელებისთვის 1 დოლარად გადაცემასა და დიდი ჰესებისა და კაშხლების მშენებლობაში, უდიდესი კორუფციული ინტერესებია.

– „ჰიდროსაპროექტო“ ინსტიტუტიდან პროექტები რომ გაჰქონდათ, ამის თაობაზე ადრეც განვაცხადე, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. ჩვენი პროექტები რომ მიაქვთ და აძლევენ რომელიღაც ოფშერულ ზონაში დარეგისტრირებულ ფირმას, ეს უკვე ვთქვი. იმ ფირმაში თარგმნიან და შემდეგ სახელმწიფოს შეასყიდვინებენ, ჩვენ კი ვერ ვმუშაობთ, როცა შეიძლება თუ საჭიროა, ჩვენივე პროექტები ჩვენ თვითონ გადავამუშაოთ.

ყველა პროექტი, რომელიც დღეს მათ აქვთ, გაკეთებულია ჰიდროპროექტში 20-30 წლის წინ. სერიოზულ კორუფციულ ფაქტებზეა საუბარი..

პროექტები პირველად 2008 წელს გაიტანეს. დარეკავენ სამინისტროდან, მოვლენ, აიღებენ და წაიღებენ ნებისმიერ პროექტს, ათარგმნინებენ და ჩვენივე პროექტს საქართველოს სახელმწიფოს დიდ ფასად შეასყიდინებენ, საუბარია 5-6-7-10 მილიონზე. ეს არის რეალობა. 20-30 წლის წინანდელი პროექტებით, თუ არ გადაამუშავე, ვერც თურქები და ვერც სხვები ვერაფერს დააპროექტებენ. ეს არის აფიორა, რადგან ჩვენგან გატანილ პროექტებს ვერაფერი გაუგეს, ვერ გადაამუშავეს. მეტს ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

– ბატონო ნიკოლოზ, თუ შეიძლება გვითხარით, როგორ დაგსაჯეს იმისათვის, რომ პროექტების გატანის შესახებ გაახმოვანეთ?

– ვერაფერს გეტყვით.

სხვათა შორის, ამ კორუფციული სქემის შესახებ პარლამენტის ოპოზიციონერი წევრებისთვისაც გახდა ცნობილი და შეიძლება ეს საკითხი პარლამენტის განხილვის საგანიც გახდეს.

## „იმელის“ შენობისთვის სტატუსის აღდენასთან დაკავშირებით საქმის განხილვა იწყება

თბილისის საქალაქო სასამართლოში, დღეს, რუსთაველის გამზირზე მდებარე იმელის შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით საქმის განხილვა იწყება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარი“ მიიჩნევს, რომ იმელის შენობა ისტორიის ნაწილია და მის გადარჩენასთან ერთად, შენობისთვის იერსახის შენარჩუნებაც უნდა მოხერხდეს. ამჟამად, იმელი დუბაიში რეგისტრირებული კომპანია „დაბი-გრუპის“ მფლობელობაშია. არაბმა ინვესტორებმა მიწის სამუშაოებში 15-დან 18 მილიონამდე ლარი გადაიხადეს.

იმელის შენობა 1938 წელს რუსი არქიტექტორის, ალექსეი შჩუსევის პროექტით აშენდა. ეროვნული მნიშვნელობის სტატუსი კი უძრავი ძეგლების აღრიცხვის შემდეგ, 1986 წელს მიენიჭა.

ნიუსპრესი

## კახეთში ხანძრის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა

კახეთში, საგარეჯოს რაიონში ხანძარს ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ხანძრის დროს სახლში 52 წლის გელა ქურხული და 65 წლის სტუმარი თემურ ქოქიაური იმყოფებოდნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, ისინი ნასვამები იყვნენ და ჩაეძინათ, რა დროსაც ცეცხლი გაჩნდა. ოჯახში სხვა არავინ იყო, 52 წლის გელა ქურხული მარტო ცხოვრობდა.

ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია.

მედიანიუსი

## ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის შედეგად მოხუცი ქალბატონი დაიღუპა

თბილისში, ლოტკინის დასახლებაში არასწორად დამონტაჟებულმა გაზის გამათბობელმა მოხუცი ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მოხუცი ბუნებრივმა აირმა მოწამლა, რის შედეგადაც გარდაიცვალა. შემხთვევის დროს სახლში კიდევ ორი ადამიანი იმყოფებოდა.

მცირეწლოვანი ბავშვი და დედა ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის დიაგნოზით მკურნალობას ამ დრომდე საავადმყოფოში გადიან.

ექიმების განცხადებით, ბავშვის მდგომარეობა მძიმეა.

მედიანიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უგულავა გაყინულ უსახლკაროებს დაეხმარება

შორენა გონგლაძე

„დიდი გამყინვარების“ პირველი ფაზა, როგორც იქნა, ფინალისკენ წავიდა. სინოპტიკოსების პროგნოზით, მთავარი უკან დარჩა. მართალია ტემპერატურა პლიუსებში არ მიდის, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიაზე თოვა შეწყდა. ყინვამ და დიდთოვლობამ მარტო საქართველო კი არა, მთელ ევროპას შეუქმნა პრობლემები; თუმცა, როგორც ვნახეთ, მკაცრ ზამთარს ევროპა მომზადებული შეხვდა, მომზადებაში კი მარტო იმის თქმა არის საკმარისი, რომ ქუჩებში გამათბობლები დაამონტაჟეს. ეს ევროპა, რაც შეეხება საქართველოს, დღემდე ქალაქის მთავრობამ ეს სიტუაცია, როგორც ჩანს, ვერ გააცნობიერა. ქალაქის მერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტროტუარებს ფეხით მოსიარულეები კვალავდნენ, შიდა ქუჩების გაწმენდაზე კი ლაპარაკი ზედმეტია. როგორც იქნა, ქალაქის მთავრობამ ინება და კამერებისა და ნაციონალისტების თანდასწრებით დიდი ზარზეიმით გვამცნო, რომ ქალაქის მერია დედაქალაქის მოსახლეობისთვის და უსახლკაროებისთვის ზრუნვას იწყებს.



როგორც უგულავამ დილიდან გვამცნო, ყინვების პერიოდში უსახლკაროებისთვის თავშესაფარი დედაქალაქის ყველა რაიონში გაიხსნება. თბილისის მერმა გუშინვე მე-5 საავადმყოფოში ყინვების შედეგად დაშავებულები მოინახულა და მერიის მიერ ახალ ინიციატივაზეც იქვე ისაუბრა.

უგულავას თქმით, გუშიმ დედაქალაქის მერიაში საგანგები თათბირი მოეწყო, რომელზეც უფასო სასადილოების ტრანსფორმირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. კერძოდ, თბილისის ყველა რაიონში უსახლკაროებისთვის ყინვების პერიოდში გაიხსნება თითო თავშესაფარი, სადაც უსახლკაროებს ცხელი სადილის მიღების საშუალება ექნებათ.

თბილისის მერის ინიციატივით, ყინვების პერიოდში უსახლკაროებისთვის თავშესაფრები გაიხსნება: ვაკე-საბურთალოს რაიონში, ცაგარელის №19-ში, დიდუბე-ჩუღურეთში – ვანის ქუჩა №4-ში, ძველ-თბილისში – პეტრიაშვილის №25-ში, ისანი-სამგორში – ზემო ფონიჭალა მე-3 მიკრო რაიონის №209 ბაგა-ბაღში, გლდანი-ნაძალადევში – გურამიშვილის ქ№33 -ში.

ოფიციალური მონაცემებით, ძლიერი ყინვების შედეგად თბილისში ორი ადამიანი გარდაიცვალა.

მე-5 საავადმყოფოში მოყინვისა და ტრავმის დიაგნოზით 11 პაციენტი მკურნალობს. მათ შორის სამი უსახლკარო მოქალაქე სხეულის მოყინვის გამო უმძიმეს მდგომარეობაშია, ხოლო 9 დაზარალებული სტაციონარშია მოთავსებული. სულ სხვადასხვა მოტეხილობებით კლინიკებს 250-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა. იმ პაციენტების სამედიცინო ხარჯებს, რომელთაც დაზღვევა არ აქვთ, თბილისის მერიის სარეზერვო ფონდი დაფარავს.

# თურქებს საქართველო თავისი ჰგონიათ

შორენა გონგლაძე

თურქი-მესხების საქართველოში ჩამოსახლების საკითხი პერიოდულად აქტიურდება. ბოლოს ეს თემა სამი წლის წინ წამოიწია, თუმცა მალევე დაკარგა აქტუალობა. ამ საკითხთან დაკავშირებით სტატიას საიტი „გეურასია.ორგ“-ი ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ როდესაც საქართველო წევრიანდებოდა ევროპის საბჭოში, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზ. ჟვანიამ ვალდებულება აიღო, 1944 წელს დეპორტირებული ე.წ. თურქი-მესხების დაბრუნების შესახებ, თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილებში. 2012 წლის 9-15 იანვარს „ახისკას თურქების მსოფლიო საბჭოს“ ეგიდით, ანკარაში გაიმართა ფოტოგამოფენა თემაზე: „დეპორტაციის უხმო მოწმენი: ახისკას თურქები 1944“. ამ ღონისძიების გამართვა მიეძღვნა მრავალრიცხოვანი საზოგადოებების, ფონდების და კავშირების გააქტიურებას, რომლებიც მუშაობენ „ახისკას თურქების“ დაბრუნების თემაზე.

„თურქი-მესხების“ რეპატრიაციის საკითხი და მით უფრო, მისი განხორციელების ვადები (12 წელი) საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის მრავალ ასპექტში.

ტერმინი „თურქი-მესხები“ (შემდგომში მათ ვუწოდებთ „ახისკას თურქებს“, რადგან თავად ასე უწოდებენ თავის თავს) საბჭოთა პროპაგანდის დანატოვარია და არ გააჩნია რაიმე სამეცნიერო ან ეთნოგენეტიკური მნიშვნელობა. ამავე ლოგიკით შეგვეძლო გვეხმარა ტერმინი „რუსი-აფხაზები“ ან „რუსი-ოსები“. ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად, როგორც ეს მოხდა მესხეთის შემთხვევაში 1578 წელს, საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ხალხის ასიმილაცია პოლიტიკურ-სოციალურ და რელიგიურ ასპექტებში, რის შედეგადაც მეზობელმა ქვეყანამ მიიღო მოხერხებული გეოპოლიტიკური ზონა საკუთარი სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად. თურქეთი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული „ახისკას“ თურქების დროულად დაბრუნებით მათ ისტორიულ სამშობლოში, რადგან სამხრეთ კავკასიის რეგიონი მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ ზონას წარმოადგენს სწრაფად განვითარებადი თურქეთისთვის, რომელიც ცდილობს აღიდგინოს უწინდელი ძლიერება.

ახისკას თურქების რეპატრიაციის ვადის მოახლოებასთან ერთად, რაც განსაზღვრულია ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებებით, თურქეთში დაიწყო სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების შექმნა ერთმორწმუნე ძმების დასახმარებლად. ერთ-ერთმა ასეთმა ორგანიზაციამ, – „ახისკას თურქების საგანმანათლებლო-კულტურული და სოციალური დახმარების ფონდი“, 2001 წლიდან დაიწყო ყოველკვარტალური ჟურნალის „ჰ სკა“ გამოცემა, რომელსაც 2007 წლიდან ეწოდება „იზიმ ჰ სკა“ („ჩვენი ახისკა“). ჟურნალის რედაქტორია უნივერსიტეტის მასწავლებელი იუნუს ზეირეკი, რომელიც ამ ჟურნალის და ცალკე გამოცემული წიგნების ფურცლებზე, სამწუხაროდ, ამახინჯებს ქართული რეგიონების ისტორიულ წარსულს. ამგვარი ცრუმეცნიერული გამოკვლევები მიზნად ისახავენ თავს მოახვიონ თურქ მკითხველს საკუთარი სუბიექტური აზრი ქართული ისტორიული მიწების წარსულზე, რაც იწვევს თურქი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

ამასთან, „ახისკა თურქებს“ წარმოადგენენ, როგორც საკუთარი ქვეყნიდან გამოძევებულ ხალხს და სტალინის რეჟიმის მსხვერპლთ. იუნუს ზეირეკი, რომელიც წარმოშობით ფოცხოვიდან არის, თავის წიგნებში სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ გეოგრაფიული ტერმინი „ახისკა“ მოიცავს მთელ სამცხე-ჯავახეთს (თურქეთში გამოცემულ რუკებზე ახისკაში შედის ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები) და რომ ამ ადგილებში ეთნიკური თურქები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ისტორიულად დაუსაბუთებელი არგუმენტებით არის აჭრელებული ი. ზეირეკის წიგნები:

„ახისკის თურქიზმი გუშინდლიდან დღევანდელ დღემდე“ საქართველოს, აჭარა და თურქეთი – ტრაბზონი, 1999

„აჭარა და აჭარლები“ – ანკარა, 2001 „ახისკას რეგიონი და ახისკელი თურქები“– ანკარა, 2001 „საოცარი განშორება: ახისკა– ანკარა, 2006

გარდა ზემოაღნიშნული გამოცემებისა, „ახისკელი თურქების კულტურის და სოლიდარობის საზოგადოებამ“ (თავმჯდომარე ყიას ასლანი), 2004 წელს გამოსცა წიგნი „ახისკელი თურქები“, რის შემდეგაც, თურქეთის მეჯლისმა გამოსცა მეორე წიგნი ასეთივე სათაურით. სწორედ ერთ-ერთ ამ წიგნში იყო ის რუკა, რომელზეც მთელ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ეწოდება „ახისკა“. დღეისათვის ახისკელი თურქების ყველა ორგანიზაცია თურქეთში გაერთიანებულია ერთ სტრუქტურაში სახელწოდებით „ახისკელი თურქების ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია“, რომლის თავმჯდომარეა უკვე ნახსენები იუნუს ზეირეკი.

თურქეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახისკას თურქების რეპატრიაციას თავიანთ ისტორიულ სამშობლოში და მხარს უჭერს მათ მოთხოვნას, რომ ისინი დასახლდნენ სწორედ სამცხე-ჯავახეთში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა რეპატრიანტებს სთავაზობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსახლებას. ამ საკითხის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება იგრძნობა თურქეთის მთავრობის უმაღლეს ეშელონებში, სადაც სპეციალური საკოორდინაციო კომიტეტიც კი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში არიან პრემიერ-მინისტრის კანცელარიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ახლახან „ფედერაციის“ წარმომადგენელთა დელეგაცია მიიღო თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა, რომელმაც აღუთქვა მათ არსებითი დახმარება მათი რეპატრიაციის საქმეში.

„ახისკას თურქების“ მოთხოვნას, რომ მაინცდამაინც ისტორიული სამშობლოს ტერიტორიაზე ჩაასახლონ, შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. საქმე ისაა, რომ ამ რეგიონის მოსახლეობაში სჭარბობენ ეთნიკური სომხები და თურქების ჩასახლების შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია წარმოიქმნას არასტაბილურობის ფეთქებადსაშიში კერა.

„ახისკას თურქების“ მიერ წამოყენებულ პირობებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ ყველა დასახლებულ პუნქტებში მათ უნდა გაუხსნან თურქული სკოლა და მეჩეთი. ამგვარი მოთხოვნები თავისთავად გამართლებულია. ჯერ ერთი, ბავშვებმა არ იციან ქართული და ახალგაზრდების მხოლოდ ნაწილმა იცის მცირეოდენი რუსული. მეორეც, რეპატრიანტები მუსლიმანები არიან და სამართლიანია მათი სურვილი, რომ განსახლების ადგილებში თავიანთი რჯულის მიხედვით ილოცონ.



აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულმა მხარემ უნდა ჩაატაროს დიდი სამუშაო, რათა მომზადდეს ნიადაგი ჩამოსული ადამიანების უმტკივნეულო ინტეგრაციისთვის ადგილობრივ გარემოში. ამ საკითხებით ბოლო დროს აქტიურად არის დაკავებული თურქეთის მთავრობა. „ახისკა თურქების“ დაბრუნების პროცესის შესამსუბუქებლად თურქეთის მთავრობაში დანიშნულია სახელმწიფო მინისტრი მუსტაფა საიდ იაზიჯიოღლუ, რომელიც კურირებს აღნიშნულ საკითხს. ამავე მიზნით განზრახულია ახალციხეში გაიხსნას ოფისი, კულტურული ცენტრი. „ახისკელი თურქების“ კეთილმოწყობა ეკისრება საქართველოში მოქმედ თურქულ სააგენტო „ტიკა“-ს.

„ახისკას თურქების“ თითქმის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები, თავიანთ საჯარო გამოსვლებში (და პირად საუბრებშიც) აცხადებენ, რომ თურქები არიან და მათი მშობლიური ენა თურქულია. მათ შორის არავინ არის, რომელიც ქართულს მიიჩნევს მშობლიურ ენად. ზემოაღნიშნული ფონდები, ფედერაციები, მათი გამოცემები და პრესა ეწევიან აქტიურ პროპაგანდას იმის შესახებ, რომ მესხეთის და სამცხე-ჯავახეთის ისტორიული კუთვნილება თურქ-ოღუზებს უკავშირდება. ხოლო ტერმინი „ახისკა“ თურქული პროპაგანდისთვის საკმაოდ მოსახერხებელი ფორმულირებაა, მსგავსად კონიის თურქებისა, არზრუმის თურქებისა, სივასის თურქებისა და ა.შ.

თურქეთი სტრატეგიულად დაინტერესებულია დაასახლოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი თურქული და ისლამური მოსახლეობით. თურქეთისთვის სტრატეგიული მარშრუტები: ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰდენიზის გაზსადენი და მშენებარე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა სწორედ ამ რეგიონზე გადის და საჭიროა ამ მილსადენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოულოდნელი საფრთხეებისგან. 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, როცა რუსეთმა მოახდინა ნავთობსადენის დაბომბვა (ყოველ შემთხვევაში, ქართული მხარე ამას აცხადებდა), გახდა თურქეთის ხელისუფლებისთვის კიდევ ერთი საბაბი, რომ გაეაქტიურებინა ქმედებები თავისი ინტერესების დასაცავად საქართველოში. ამიტომ, ახლა თურქეთისთვის განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნულ რეგიონში ბუფერული ზონის შექმნა, რომელიც დასახლებული იქნება თურქული ეთნოსით. ახისკას თურქებისგან, გარდა საშუალო სკოლების შექმნისა, ისმის მოთხოვნები, რომ ახალციხეში გაიხსნას უნივერსიტეტი, უზრუნველყოფილი იქნას კულტურული ავტონომია, რაც არ გამორიცხავს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას მომავალში.

იმის გამო, რომ ენერგომატარებლები მიედინება ამ რეგიონის გავლით, ის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს როგორც თურქეთისთვის, ისე რუსეთისა და აზერბაიჯანისთვის, რაც კიდევ უფრო ზრდის დაძაბულობას ამ ზონაში.

მთლიანობაში, საქართველოს ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რამდენად მზად არის საქართველო, მიიღოს 40 ათასი (პირველი ნაკადი) ადამიანი, რომლებიც უცხონი არიან თავიანთი მენტალიტეტით, ტრადიციებით, რწმენით, ენით და ა.შ. საჭიროა მათთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, ყოფა-ცხოვრების მოწესრიგება, სამუშაოთი უზრუნველყოფა, საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მიუხედავად პოლიტიკური გარღვევისა უკანასკნელ წლებში, საქართველოს ჯერ კიდევ აქვს უამრავი პრობლემა ქვეყნის შიგნით (უმუშევრობა, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის დაბალი დონე და სხვა). გარდა ამისა, საქართველოში 300 ათასამდე ლტოლვილია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.

აი, როგორი მონაცემები უნდა წარვადგინოთ ევროპის საბჭოში და დავიცვათ სახელმწიფოს და ნაციის პრესტიჟი. ამ საკითხის გადაწყვეტა ფრთხილ და ტაქტიან მიდგომას მოითხოვს.

2012 წლის 13 იანვარს, სააკაშვილის და ერდოღანის პრესკონფერენციაზე სტამბულის აეროპორტში, თურქეთის პრემიერმა თქვა, რომ „ჩვენი საუბრის დროს შევეხეთ ახისკას თურქების საკითხს. ბატონი სააკაშვილი დადებითად არის განწყობილი ამ საკითხის მიმართ, რაც იმედს გვაძლევს, რომ ახისკელი თურქები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში დაშორებული იყვნენ სამშობლოს, ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდებიან საკუთარ კერებს“.

ამავე პრესკონფერენციაზე რეჯებ ტაიპ ერდოღანმა იმედი გამოთქვა, რომ სტრატეგიული რკინიგზა თბილისი-ახალქალაქი-ყარსი მწყობრში შევა 2013 წელს და დასძინა: „ახლა მიდის მუშაობა მტკვარზე ასაშენებელი კაშხლის დაგეგმვის ირგვლივ“. ეს კიდევ ერთი საკითხია, რომელიც მწვავედ დგას საქართველოსთვის – გაითვალისწინებენ თუ არა ჩვენს ინტერესებს, თუ ეკოლოგიური კატასტროფა მოხდება. იმის გამორიცხვა, რომ კულუარებში თურქული მხარე შეეცდება ერთმანეთს დაუკავშიროს თურქების რეპატრიაციის პრობლემა და კაშხლის საკითხი, არ შეიძლება.

# „დემოკრატიული მოძრაობა“ დევნილებისათვის შეღავათების აღდგენას ითხოვს

„დემოკრატიული მოძრაობა“ დევნილებისთვის წართმეული შეღავათების აღდგენას კატეგორიულად მოითხოვს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „დემოკრატიული მოძრაობის“ სათათბიროს წევრმა მამუკა აჩბამ განაცხადა, 2012 წლის პირველი დღეებიდანვე მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა დევნილებს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა, კერძოდ მათ მოეხსნათ ის შეღავათები, რომლებიც წლების განმავლობაში ჰქონდათ.

„ისედაც გაწამებულ და ეკონომიკურად უკიდურეს რთულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, რომლებიც უამრავი გადასახლებებით საკუთარ ქვეყანაშივე მრავალჯერ გახადეს დევნილები, აღმოჩნდნენ უმძიმესი განსაცდელის წინაშე – ის შეღავათები, რომლებიც მათ წლების განმავლობაში ჰქონდათ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოუხსნა. დევნილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, დახმარების მოხსნა ბინების პრივატიზაციის გამო მოხდა, მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ დევნილთა დიდ ნაწილს ბინები ჯერაც არა აქვს დაკანონებული და ეს პროცესი რამდენი ხანი გაგრძელდება, არავინ იცის. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება დევნილებს უკვე წლებია სთავაზობს სხვადასხვა გრაფიკს თუ რომელი კატეგორიის დევნილს როდის და როგორ გადაუხადონ კომპენსაცია, მათ უმრავლესობას ეს კომპენსაციები დღემდე არ მიუღია“, -აღნიშნა აჩბამ.

მისი თქმით, 22 ლარიანი დახმარების ამარა მყოფ ადამიანებს უთიშავენ ელექტროენერგიას, გაუსაძლის სიცივეში ტოვებენ ათასობით ოჯახს და მხოლოდ შემდგომ ატყობინებენ, რომ მათ მოხსნილი აქვთ შეღავათები.

„დაკანონებულ თუ დაუკანონებელ ფართებში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები იღებდნენ სულზე 100 კილოვატიან შეღავათს, რომლის ეკონომიასაც აკეთებდნენ ზაფხულის განმავლობაში და შემდგომ ზამთარში იყენებდნენ – ახლა კი ისინი შეღავათების მოხსნის გამო ფაქტიურად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ გაუსაძლისი კლიმატური პირობების წინაშე“-განაცხადა აჩბამ.

მისი თქმით, „დემოკრატიული მოძრაობა დევნილებისათვის წართმეული შერავათების აღდგენას კატეგორიულად მოითხოვს, თუნდაც ზაფხულის პერიოდის დადგომამდე.

მედიანიუსი

# საქართველოში ისრაელის საელჩოს შენობის წინ ნაღმი იქნა აღმოჩენილი

თბილისში, გუშინ საქართველოში ისრაელის საელჩოს შენობის წინ ნაღმი იქნა აღმოჩენილი, -იუწყება „ინტერფაქსი“ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნაღმი გაუვნებელყოფილი იქნა და ამის გამო, არანაირ ინცინდენტს ადგილი არ ქონია.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე აცხადებს, რომ ანალოგიური შემთხვევა დღეს ორი ადამიანის დაშავებით დასრულდა ინდოეთის დედაქალაქ დელიში.

ასევე, იერუსალიმში ისრაელის საელჩოს შენობასთან ნაღმის აფეთქებამ ადგილობრივი დიპლომატის მანქანა იმსხვერპლა.

ნიუსპრესი

# „აივანი" ივენთ ჰოლშია

14 თებერვალს თბილისის ივენთ ჰოლში გაიმართება ალტერნატიული მუსიკის საღამო „აივანი სეზონი 2", რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და თბილისის მერიის მხარდაჭერით არის ორგანიზებული. „აივანი" მუსიკალური გადაცემაა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადის და იმ მუსიკოსებსა და ჯგუფებს წარუდგენს საზოგადოებას, რომელიც ალტერნატიულ მუსიკას ქმნის.

– ინტერნეტ გადაცემა „აივანი" საქართველოში პირველი მუსიკალური ონლაინ შოუა, რომლის მიზანს ცოცხალი მუსიკისა და ნაკლებად ცნობილი მუსიკალური ჯგუფების პოპულარიზაცია წარმოადგენს. ამ პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც უკრავს ცოცხლად. არ არის შეზღუდული ასაკი, გემოვნება და მუსიკალური მიმდინარეობა. პროექტში „აივანი" მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია სარეგისტრაციო ფორმის შევსება და სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნა. მსურველთა განაცხადები განიხილება უმოკლეს ვადაში და გადაცემის ავტორები უახლოეს ჩანერაზე მისაწვევად დაუკავშირდებიან. რაც შეეხება ჩანერებს, ყველა შემსრულებელი ერთი კამერით ერთ დუბლად იწერება, ვიდეოები საიტზე აივანი.ჯი-ზე იტვირთება, რომლის ნახვაც ყველა მსურველს შეუძლია. ვიდეო თავსდება ასევე ინტერნეტ პორტალზე იუთუბი.ქომ და მაივიდეო.ჯი. სატელევიზიო გადაცემა „აივანი" საზოგადოებრივ მაუწყებელზე ინტერნეტ პროექტისგან განსხვავებული ფორმატით გადის, თუმცა ჯგუფების ისტორია, ახალგაზრდა შემსრულებლები, მათი გეგმები და წარმატებისკენ სწრაფვა კვლავ ერთი კამერის ობიექტივშია მოქცეული. გადაცემის რადიო ვერსიის მოსმენა კი შესაძლებელია რადიო ერთის ღამის ეთერში გადაცემაში „ტრამვაის აივანი", – ამბობს გადაცემა „აივანის" პროდიუსერი ნათია სუხიაშვილი.

„აივანის" კონცერტში მონაწილეობას მიიღებს გადაცემაში წარმატებით მონაწილე შვიდი ქართული ბენდი. პირველი სცენაზე ჯგუფი „პლას მასტერი" გამოვა. საკონცერტო პროგრამაში ჩართულები არიან ჯგუფები „ინერვოის", „რედიოაქტაივ", „ქეთფიშ", „კუნგ ფუ ჯანკი" და „ზურგი". კონცერტზე მეშვიდე ნომრად ჯგუფი „ქიდ ჯიზეს" წარდგება, რომელიც მსმენელის წინაშე პირველად დაუკრავს. კონცერტს უკრაინიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული როკ ბენდი „სინგლეტოუნ" დაასრულებს. „აივანის" კონცერტზე დასწრება მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, მხოლოდ მოსაწვევებით იქნება შესაძლებელი.

ეკა ირემაშვილი

# ნინო ქათამაძე ალბომის პრეზენტაციას თბილისში მოაწყობს

ეკა ირემაშვილი

**3 მარტს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მომღერალი ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაითი" საზოგადოებას წარუდგენს თავის რიგით მეხუთე ალბომს „გრინ" (მწვანე), რომლის პრეზენტაციაც გასული წლის შემოდგომაზე უკვე შედგა მოსკოვში „კროკუს სითი ჰოლში". ამჯერად მომღერალი ალბომის თბილისურ პრემიერას გეგმავს.**

ნინო ქათამაძის რიგით მეხუთე ალბომი „გრინ" წინა ალბომის „რედ" (წითელი) გამოცემიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში გამოვიდა. ამჯერად მუსიკოსები დაუბრუნდნენ ბევრად უფრო გაწონასწორებულ მუსიკალურ ფორმებს. წინა და ახალ ალბომებს აერთიანებს არა მხოლოდ სოლისტის ფენომენური შესრულება, არამედ მისი კოლეგების სწრაფვა გამოჩენილ ინსტრუმენტალისტებთან დიალოგისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ნინო ქათამაძისა და ინსაითის მუსიკის დახასიათებისას ყველაზე ხშირად გამოიყენება სიტყვები „მსოფლიო მუსიკა", ალბომში „გრინ" მუსიკოსები იყენებენ ჯაზის ტრადიციებს, რაც „ჭკვიანი" ჯაზის სტერეოტიპებთან მახვილგონივრულ კამათში გადაიზრდება. გიტარისტ გოჩა ყაჭეიშვილის პარტიები ბრწყინვალედაა მოფიქრებული, შესრულებული და ჯაზითაა გაჯერებული. ალბომში არის აქტუალური რიტმული მუსიკაც, მაგალითად, კომპოზიცია „გამაი" ბრეიქბიტის სტილშია გადაწყვეტილი. თუმცა, მსმენელს ნინო ქათამაძე, უპირველეს ყოვლისა, უყვარს მისი შესრულების მანერის, მისი უნარის გამო, სულში ჩამწვდომად გადმოსცეს ქართული მუსიკის ჰანგები, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ადვილად მისაღები და გასაგებია. ახალ ალბომში ასეთი სიმღერებია კომპოზიციების „ვაჰაგნ" და „ინგლიშ" შესრულებისას ნინო ქათამაძე თითქოს თქვენს აზრებს კითხულობს და მათ თავის ენაზე პასუხობს. ახალი ალბომი „გრინ" ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „ინსაითის" რიგით მეხუთე ალბომია. მანამდე მუსიკოსებმა ჩაწერეს ალბომები – თეთრი, შავი, ლურჯი და წითელი. ალბომი „გრინ" ინსაითის ძალებით ბერლინში ჩაიწერა.

თბილისში დაგეგმილი 3 მარტის კონცერტზე დასასწრები ბილეთები დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში უკვე იყიდება. მათი ფასი 10-დან 50 ლარამდეა.

თბილისში დაგეგმილი კონცერტი და ახალი ალბომის თბილისური პრეზენტაცია იმ ხანგრძლივი საგასტროლო ტურნეს ნაწილია, რომელიც



ქართველმა მომღერალმა თებერვალში დაიწყო. ჯერ კიდევ იანვარში ნინო ქათამაძემ მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საღამოში, რომელიც ორგანიზაცია „გიფტ ოვ ლაივ" (ცხოვრების საჩუქარი) ორგანიზებით მოეწყო. ცნობილია, რომ ქართველი მომღერალი კონცერტებს ყველაზე ხშირად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მართავს. ამჯერად ნინო ქათამაძემ ბალტიისპირეთის ქვეყნები მოიარა – მომღერალი უკვე სტუმრობდა ტალინს, რიგას, ვილნიუსს, ნოვოროსიისკსა და კრასნოდარს. ორიგინალური და არაორდინარული შემსრულებლის საგასტროლო გრაფიკი პირველი ივნისის ჩათვლით უკვე გაწერილია. 15 თებერვალიდან მომღერალი კვლავ რუსეთში გადაინაცვლებს და გამართავს კონცერტებს როსტოვში, 17 თებერვალს – სტავროპოლში, 6 მარტს – სანკტ-პეტერბურგში, 7 მარტს – ტვერში, 9 მარტს – მოსკოვში, 11 მარტს – ბელგოროდში, 13 მარტს – ვორონეჟში, 16 მარტს – რიაზანში, 18 მარტს – ტულაში, 21 მარტს – სამარაში, 23 მარტს – სარატოვში, 24 მარტს – ვოლგოგრადში, 3 აპრილს – კიევში, 7 აპრილს – არხანგელსკში, 17 აპრილს – ყაზანში.

რუსეთის ქალაქების მოვლის შემდეგ, ნინო ქათამაძის კონცერტები გერმანიაშია დაგეგმილი. ევროპული ტურნეს ფარგლებში ქართველი მომღერალი 19 აპრილს ჰამბურგელი მსმენელისთვის იმღერებს, 21 აპრილს – ბერლინში გამართავს კონცერტს, 23 აპრილს – ლევერკუზენში, 25 აპრილს – ოფენბახში. პირველ ივნისს კი ნინო ქათამაძე მიწვეულია მსოფლიო მუსიკის ფესტივალზე რუსეთში „დიკაია მიატა". ნინო ქათამაძეს მსმენელი ყოველ კონცერტზე სიყვარულს უმტკიცებს, ამიტომ მისი სცენაზე გამოჩენა თითოეული მისი თაყვანისმცემლისათვის დიდი დღესასწაულია.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ნინო ქათამაძეს ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ უყვარს. ის პრესას იშვიათად აძლევს ინტერვიუს, რადგან მისი თქმით, სიყვარულის გარდა, სათქმელი არაფერი აქვს. მიუხედავად ამისა, ახლახან ნინომ რუსულ გამოცემა „სნობს" ინტერვიუ მისცა. ჟურნალისტთან საუბარში ნინოს არ დაუმალავს, რომ სჯერა სასწაულების, ოცნებობს 12 შვილზე და მისთვის მთავარი არა ადამიანთა შეფასება, არამედ დაფასებაა.

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ინტერვიუს ნინო ქათამაძესთან:**

***– კონცერტებს კლუბებშიც მართავთ და საკონცერტო დარბაზებშიც. სად უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს?***

– კამერული კონცერტები უფრო მხიბლავს, თუმცა, როცა კონცერტს დიდ დარბაზში ვატარებ, არც ეს არის პრობლემა. დასამალი არაფერია, თუ ვიტყვი, რომ დიდ სცენაზე სიმღერა ყოველთვის მიჭირს, განსაკუთრებით, თუ ტელეკამერით მიღებენ. თითქოს ჩარჩოში ვექცევი – ჩემებურად ველარ დავრბივარ სცენაზე, ვალდებული ვარ პერიოდულად კამერას შევხედო და გავიღიმო. სამაგიეროდ, დიდ დარბაზს მეორე მხარეც აქვს – ერთ მშვენიერ დღეს 6.000 ადამიანი საკუთარი გრძნობებით, სიყვარულით, ინტერესებით, კითხვებითა და პასუხებით, ერთ დარბაზში იყრის თავს, რათა დღესასწაული მომიწყონ მე, ერთ ადამიანს. როცა ვახერხებთ და ერთ სიუჟეტში ვაერთიანებთ მუსიკოსებს, მაყურებელს, ოპერატორებს და სცენის პერსონალს. – შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცერტი შედგა.

***– ნინო, რაზე ოცნებობთ?***

– ახლა ძალიან მინდა ბევრი შვილი მყავდეს – 12 ან 7 მაინც. ჯერჯერობით კი მხოლოდ ერთი, 3 წლის დრამერი ბიჭუნა მყავს. მას აქვს დასარტყამი ინსტრუმენტები თავისი ჯოხებით, აქვს აკუსტიკური დანადგარი, ძალიან მოსწონს დოლზე დაკვრა. ნამდვილი დრამერივით ითვლის „ერთი, ორი, სამი"

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბათუმის თეატრში პრემიერაა

13, 14 და 15 თებერვალს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში პრემიერაა. რეჟისორმა ირაკლი გოგიამ დადგა სპექტაკლი „ფერფლის პლანეტა", რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის დრამატული თეატრის მხარდაჭერით განხორციელდა.

– ეს სპექტაკლი უკვე ჩასმულია მიმდინარე წლის მარტის თვეში კიევში დაგეგმილ ახალგაზრდა თეატრალთა საერთაშორისო ფესტივალში. საქართველოს უკრაინაში ფესტივალზე სწორედ ეს სპექტაკლი წარმოადგენს, – განუცხადა „ახალ თაობას" თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა.

სპექტაკლის პრემიერა ბათუმის დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე იქნება წარმოდგენილი. წარმოდგენა „აუშვიცი – ფერფლის პლანეტა" დევიდ ზან მაიროვიცის პიესის მიხედვით განხორციელდა. რეჟისურა, სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება ირაკლი გოგიას ეკუთვნის, სპექტაკლში მონაწილეობენ დიმიტრი მელია (გორელიკი) და თამარ მახარაძე (ექიმი).

სპექტაკლი აგებულია ცნობილი დრამატურგის დევიდ ზან მაიროვიცის რადიო პიესის „ფერფლის პლანეტა" მიხედვით. ეს გახლავთ მეორე მსოფლიო ომის დროის ადამიანის ტრაგიკული ისტორია. სპექტაკლში მოქმედება ვითარდება აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც 4 მილიონზე მეტი ებრაული და სხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხი გერმანელებმა აწამეს. სპექტაკლში სრულყოფილად არის წარმოჩენილი სიყვარულის და სისასტიკის, ძალაუფლების და კაცთმოყვარეობის პრობლემა და ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ნებისმიერ საშინელ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანური სახის და ჰუმანური პოზიციის შენარჩუნებას. ახალგაზრდა რეჟისორი სპექტაკლში იყენებს ექსპერიმენტულ მულტიმედიურ ელემენტებს – რადიო და ვიდეო ეფექტებს.

– ვინაიდან 2013 წლის იანვრამდე ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ამიტომ აღნიშნული სპექტაკლის პრემიერა ბათუმის დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე შედგება, რომლის არსებობასაც საფუძველი ბათუმის თოჯინების თეატრმა ჩაუყარა. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის წარმოდგენები დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ჩატარდება, – ამბობს თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი.

ეკა ირემაშვილი

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).





იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზამბიამ აფრიკა პირველად მოიგო

აფრიკას ახალი ჩემპიონი ჰყავს. 12 თებერვალს კონტინენტის პირველობის ფინალში ზამბიამ პენალტების სერიაში დაამარცხა კოტ დივუარი და პირველად მოიპოვა აფრიკის ეროვნებათა თასი. შეხვედრაში გოლი არ გასულა. დივუარელთა ვარსკვლავმა დიდიე დროგბამ 70-ე წუთზე 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, პენალტების სერიაში კი ზამბიელებმა 8:7 იმარჯვეს. დივუარელთაგან პენლები ააცილეს ინგლისის პრემიერლიგის სხვა ვარსკვლავებმა კოლო ტურემ და ჟერვინიომ.

ზამბია მანამდე ორჯერ ყოფილა აფრიკის ჩემპიონატის ფინალში – 1974 წელს ზაირთან დამარცხდა, 1994 წელს კი ნიგერიასთან. კოტ დივუარს კი მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტზე ფეხბურთელთა უძლიერესი კრებული ჰყავს, მხოლოდ ერთხელ, 1992 წელს აქვს მოგებული ეს ტურნირი.

კოტ დივუარი წლეულ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა და თითქმის გაამართლა ეს სტატუსი. ეს ნაკრები საუკეთესო იყო ტურნირზე და ექვს თამაშში ერთი გოლიც კი არ გაუშვია, მაგრამ საფეხბურთო ლატარეად წოდებულ პენალტების სერიაში დამარცხდა.

გეტყვით იმასაც, რომ ზამბიელთა რიგებში აფრიკის ჩემპიონი გახდა ჩისამბა ლუნგუ, რომელსაც ზუგდიდის „ბაიაში“ უთამაშია და საქართველოს მოქალაქეობაც აქვს. მესამე ადგილი მოიპოვა მალის ნაკრებმა, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ალან ჟირესი ხელმძღვანელობს. ბრინჯაოს მედლებისთვის შეხვედრაში მალიმ 2:0 დაამარცხა განა. ორივე გოლი ფრანგული „ბორდოს“ თავდამსხმელმა ჩიკ დიაბატემ გაიტანა.

## უელსმა და ინგლისმა მეორე ტურშიც იმარჯვეს

11-12 თებერვალს ევროპის ექვს ერზე არასრული ტური გაიმართა. პარიზში საფრანგეთსა და ირლანდიას შორის გასამართი შეხვედრა უამინდობის გამო გადაიდო. ჩაშლის პირას იყო რომში იტალიასა და ინგლისს შორის მატჩი, რომელიც მოედნის გადათოვლის შემდეგ მაინც შედგა. აუტსაიდერი იტალია 15:6 იგებდა, მაგრამ საბოლოოდ ინგლისმა 19:15 იმარჯვა. კარდიფში უელსმა 27:13 დაამარცხა შოტლანდია და ამ თამაშში ორი ლელო, სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა უელსელთა მცველმა ლეი ჰალპენმა.

უელსისსა და შოტლანდიის თამაშის პირველი ტაიმი 3:3 დასრულდა, მეორეს დასაწყისში კი მასპინძლებმა კარგად ისარგებლეს შოტლანდიელთა უდისციპლინობით და ზედიზედ სამი ლელო დაუდეს სტუმრებს, რომლებმაც ორი ყვითელი ბარათი გამოიმუშავეს და მიყოლებით 20 წუთი 14 კაცით თამაშობდნენ.

მატჩის გმირი გახდა უელსელთა შცველი ლეი ჰალფპენი, რომელმაც სამივე უელსური ლელო გარდასახა, აქედან ორი პირადად გაიტანა და თავისი გუნდის 27 ქულიდან 22 თავად მოაგროვა.

თავის მხრივ შოტლანდიელებს უკლებლივ ყველა ქულა ახალგაზრდა გამთამაშებელ კრეიგ ლეიდლოუს ანგარიშზეა, რომელმაც ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა. ლეიდლოუ ძირითად გუნდში ვეტერანი დან პარქსის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ მოხვდა, სულ კი ნაკრებში მხოლოდ ოთხი თამაში აქვს გამართული.

იტალიისა და ინგლისის მატჩში მასპინძლებმა პირველ ტაიმში მძლავრად ითამაშეს, ექსპერიმენტულ და დაულაგებელ ინგლისს ორი ლელო დაუდეს, მეორე ტაიმის დასაწყისში კი საჯარიმოს გატანის შემდეგ 15:6 დაწინაურდნენ. მაგრამ იტალიელებმა მატჩის პირველ 50 წუთს იმდენი ენერგია დაახარჯეს, რომ დარჩენილ დროში შეტევაში ველარაფერი შექმნეს, 9 ქულიანი უპირატესობა კი გამარჯვებისთვის ვერ ეყოთ.

ორი ტურის შემდეგ უელსსა და ინგლისს ორ-ორი მოგება აქვთ, შოტლანდიასა და იტალიას კი ორ-ორი მარცხი.

## უამინდობამ კორექტივები ეროვნული ჩემპიონატის გრაფიკშიც შეიტანა

საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში უკანასკნელი დღეების მანძილზე მოსულმა უხვმა ნალექმა, გარკვეული კორექტივები საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშებაშიც შეიტანა.

სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების გდაწყვეტილებით უხვთოვლიანობისა და ბუნებრივი პირობების გაუარესების გამო მთლიანად გადაიდო უმაღლესი ლიგის მე-19 ტური, რომელიც 14-15 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო.

საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელის, ნოდარ კაკულიას განცხადებით, უმაღლესი ლიგის მე-20 ტური გეგმის შესაბამისად 19 თებერვალს გაიმართება. გადადებული მე-19 ტურის მატჩებს კი, გუნდები 22 თებერვალს ითამაშებენ.

ცვლილებები შეეხო დუბლების ჩემპიონატსაც. მე-19 ტური ასევე გადაიდება და ჩატარდება 23 თებერვალს. მე-20 ტური კი, გეგმის შესაბამისად ჩატარდება. რაც შეეხება 21-ე ტურს იგი,.27 თებერვალს გაიმართება.

## ფაჩულია ორმაგ დუბლებს უტრიალებს



ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ მიმდინარე სეზონში სტუმრად მოუგო „მაიამის“, თუმცა მას შემდეგ ზედიზედ ორჯერ შინ წააგო. ატლანტელებმა ბოლო მეოთხედი 7 ქულით კი მოუგეს მაიამელებს, თუმცა მანამდე დიდი სხვაობით აგებდნენ და საბოლოოდ 87:107 დამარცხდნენ.

ზაზა ფაჩულია ბოლო მატჩებია ორმაგ დუბლს უტრიალებს. ხან 1 ქულა აკლდება, ხან – 1 მოხსნა. დღევანდელ მატჩში ქართველმა ცენტრმა 8 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა, რაც მეტოქე გუნდის სიძლიერის გათვალისწინებით საკმაოდ კარგი შედეგია. ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 30 წუთზე ოდნავ მეტი დრო გაატარა. ზაზამ თამაშიდან 100-პროცენტიანი შედეგიანობით ესროლა – 4 ორქულიანიდან ოთხივე ჩააგდო. 8 ქულასა და 9 მოხსნასთან ერთად ფაჩულიას 2 პასი და თითო ჩაჭრადაფარება ჰქონდა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. 18 მოგებითა და 10 წაგებით „ატლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე დარჩა. ხვალიდან ატლანტელები დასავლეთში, გასვლით ტურნეს იწყებენ. პირველი გაჩერება ფაჩულიას გუნდს ლოს ანჯელესში აქვს, სადაც 15 თებერვალს „ლეიკერსს“ შეხვდება, შემდეგ კი ფინიქსში გადავა.

## გუნდური პირველი ადგილი ავსტრიიდან

2 ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო – ასეთია ქართველი ძიუდოისტების მონაგარი ობერვატში გამართულ მსოფლიოს თასზე, რაც გუნდური პირველი ადგილის გარანტი გახდა.

ახლახან თბილისის მსოფლიოს თასის ჩემპიონი ბეთქილ შუკვანი ობერ-



ვარტის მსოფლიოს თასის ოქროს მედალსაც დაეუფლა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქართველმა ძიუდოისტმა ავსტრიულ ტატამზე ერთმანეთზე უკეთესი სილამაზის ხუთი წმინდა გდება შეასრულა და ამისთვის სულ რაღაც 6 წუთი და 23 წამი იკმარა.

ჩემპიონობისკენ მიმავალ გზას ჩვენებური მაროკოელი იასინე მოუდატირის ძლევით შეუდგა. მის დასამარცხებლად შუკვანმა 42 წამი იკმარა. შემდეგ წუთსა და 33 წამში ლატვიელი ანდრეის მაგერსი დასცა, მონღოლ ბოლდბაატარ ჩიმებ-იონბონს კი 2 წუთსა და 16 წამი მოუთავა საქმე. ნახევარფინალში წუთი და 1 წამი დასჭირდა სამხრეთკორეელ ჯინ-მინ იანგის დასამარცხებლად, ხოლო ფინალში, ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი აზერბაიჯანელი ილგარ მუშკიევი 51 წამში დასცა ბეჭებზე.

ქართველმა ძიუდოისტმა 100 სარეიტინგო ქულა მოიპოვა და ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო რეიტინგში კიდევ უფრო განიმტკიცებს ადგილს. ამრიგად, ნაკრების მთავარ მწვრთნელ პიტერ ზაიზენბახერს ლონდონში წასაყვანი შემადგენლობის გამოცხადებისას მასსა და ამირან პაპინაშვილს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

ამავე წონაში პაატა მერებაშვილი მეხუთე ადგილს დასჯერდა. სლოვენიელი მატიაჟ ტრბოვჩის, მონღოლი ბოლდბაატარ განბატისა და ფრანგი ისამ ნურის ადვილად ძლევის შემდეგ, ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, სამხრეთკორეელ ვონ-ჯინ კიმთან. მეორე სამხრეთკორეელთან – ჯინ-მინ იანგთან კი რეპეშაჟის ფინალში დამარცხდა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველებმა მხოლოდ თითოჯერ იჭიდავეს. შალვა ქარდავამ ყირგიზ ისლამ ბაიალინოვთან წააგო, ლაშა შავდათუაშვილმა – მონღოლ ტუმურხულეგ დავაადორჟთან.

მეხუთე ადგილით და 20 სარეიტინგო ქულით დაასრულა ტურნირი 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ზებედა რეხვიაშვილმაც. მეოთხედფინალში იაპონელ იუკი ნიშიამასთან წაგებამდე რეხვიაშვილმა ყაზახი აზამატ კიპშაკბაევის, ფრანგი ჟორდან ამოროსა და ჰოლანდიელი ნილ ვან დე კამერის ჩამოცილება მოასწრო. რეპეშაჟშიც კარგად დაიწყო – ისრაელის სახელით მოჭიდავე იოზეფ პალეეელაშვილს აჯობა, თუმცა სამხრეთკორეელ ვონ-იანგ კიმთან კი წააგო და მედალიც გაანიავა.

ნუგზარ ტატალაშვილსაც სწორედ კიმთან წააგო და ვერც დამამშვიდებელ ეტაპზე ივარგა. 73 კილოგრამში საქმეში საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი, თენგიზ პაპოშვილიც ჩაერთო, მაგრამ საწყის ეტაპზევე დამარცხდა.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან წიკლაური ისე გაჩემპიონდა, არც ერთი მოწინააღმდეგისთვის მცირე შანსიც კი არ მიუცია. ოქროს გზას ტოგოელი საჩა დენანიონის 2 წუთში ძლევით შეუყვა. თურქ აჰმეთ სარის, პოლონელ ლუკაშ ბლახსა და ლატვიელ კონსტანტინ ოვჩინიკოვსს თითო ვაზარი აკმარა. ფრანგი ლუის პიეტრი კი სულ რაღაც ოციოდ წამში დასცა ბეჭებზე. ფინალში კი კანადელ ანტუან ვალუა-ფორტიეს წუთსა და 14 წამში მოუმთავრა საქმე.

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ), ზურაბ ზვიადაური და ბეთქილ ნავერიანი (ორივე 90 კგ) შეჯიბრებას საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშა. ყველაზე მოულოდნელი ჭრიკიშვილის წარუმატებლობა იყო. თბილისის მსოფლიოს თასის ჩემპიონმა ობერვარტში მხოლოდ ერთი ეტაპი გადალახა – ბელარუსი ალექსანდრ სტიაშენკას ორი იუკოთი ძლევის შემდეგ უნგრელ ლასლო სზოკნიაისთან თავად დავარდა იუკოზე, ოქროს დროში. ზვიადაურმა სამეულის შანსი შვეიცარიელ სირილ გროსკლაუსთან წაგებით დაკარგა.

სამუდამო დისკვალიფიკაციის შემდეგ ამნისტირებული ნოდარ მეტრეველის საერთაშორისო არენაზე დაბრუნება ავსტრიაში არ შედგა. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ძიუდოისტი განაცხადში კი იყო, მაგრამ მეტრეველმა ტატამზე გასვლა ზედმეტი წონის გამო ვერ შეძლო. ამ წონაში მეტი მონაწილე არ გვყოლია.

მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილს პირველ მეტოქედ ბრიტანელი მეტიუ კლემპნერი ერგო და საქმე ზუსტად ერთ წუთში, შებოჭვით მოუმთავრა. იპონიპონ გაუსწორდა მონტენეგროელ მარკო რადულოვიჩს, ფრანგ მეტიუ ბატიეს, სამხრეთკორეელ სუნგ-მინ კიმსა და იაპონელ კაზუჰიკო ტაკაჰაშისაც. ფინალში კი კუბელ ოსკარ ბრისონთან ასევე წმინდად წააგო და 60 ქულას დასჯერდა. გადამწყვეტ შეხვედრამდე ქართველ ძიუდოისტს უმცირესშეფასებიანი ქულაც კი არც ერთი მეტოქისთვის არ დაუთმია.

სწორედ ბრისონმა გადაუკეტა ოქრო-ვერცხლისკენ მიმავალი გზა მეორე ქართველ მძიმეწონოსანს, ზვიად ხანჯალიაშვილს. ამ მეოთხედფინალურ შეხვედრამდე ხანჯალიაშვილმა ორი მეტოქე ჩამოიშორა. პერუელ კარლოს ერიკ ზეგარა პრესერს 20 წამში მოუმთავრა საქმე, მონღოლ მუნხბაატარ ხადბაატარს კი ვაზარით სძლია. რეპეშაჟში გადართულმა ქართველმა მძიმეწონოსანმა ესტონელი მარტინ პადარი წუთსა და 19 წამში დააიპონა, რეპეშაჟის ფინალში კი კაზუჰიკო ტაკაჰაშის ორწუთნახევარში შეუსრულა წმინდა გდება და პირად რეიტინგს 40 ქულა შემატა.

## ფეხბურთი

### აფრიკის ერთა თასი

### ფინალი

კოტ დივუარი-ზამბია .......... 0:0(7:8პ)

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი ............... 1:5
ასტონ ვილა-სიტი ........................ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 25 | 19 | 3 | 3 | 64:19 | 60 |
| 2.მანჩესტერი | 25 | 18 | 4 | 3 | 61:25 | 58 |
| 3.ტოტენჰემი | 24 | 16 | 4 | 4 | 49:25 | 52 |
| 4.არსენალი | 25 | 13 | 4 | 8 | 48:35 | 43 |
| 5.ჩელსი | 25 | 12 | 7 | 6 | 44:31 | 43 |
| 6.ნიუკასლი | 25 | 12 | 6 | 7 | 36:36 | 42 |
| 7.ლივერპული | 24 | 10 | 8 | 6 | 29:23 | 38 |
| 8.ნორვიჩი | 25 | 9 | 8 | 8 | 37:41 | 35 |
| 9.ევერტონი | 25 | 9 | 6 | 10 | 26:27 | 33 |
| 10.სანდერლენი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:26 | 33 |
| 11.სუონსი | 25 | 7 | 9 | 9 | 28:32 | 30 |
| 12.ფულემი | 25 | 7 | 9 | 9 | 31:36 | 30 |
| 13.სტოკი | 25 | 8 | 6 | 11 | 24:38 | 30 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 8 | 5 | 12 | 29:35 | 29 |
| 15.ას.ვილა | 25 | 6 | 10 | 9 | 29:34 | 28 |
| 16.ქპრ | 25 | 5 | 6 | 14 | 27:44 | 21 |
| 17.ბლექბერნი | 25 | 5 | 6 | 14 | 37:56 | 21 |
| 18.ვულვზი | 25 | 5 | 6 | 14 | 28:49 | 21 |
| 19.ბოლტონი | 25 | 6 | 2 | 17 | 29:51 | 20 |
| 20.უიგანი | 25 | 4 | 7 | 14 | 23:50 | 19 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-სარაგოსა .................. 0:2
მალაგა-მალიორკა ....................... 3:1
რაიო-ხეტაფე ............................. 2:0
ვალენსია-ხიხონი ........................ 4:0
ვილიარეალი-გრანადა ................. 3:1
რეალი-ლევანტე .......................... 4:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 19 | 1 | 2 | 75:21 | 58 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 63:16 | 48 |
| 3.ვალენსია | 22 | 11 | 7 | 4 | 35:22 | 40 |
| 4.ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29:29 | 32 |
| 5.ესპანიოლი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:26 | 32 |
| 6.ატლეტიკო | 22 | 8 | 7 | 7 | 31:27 | 31 |
| 7.ოსასუნა | 22 | 7 | 10 | 5 | 26:35 | 31 |
| 8.მალაგა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:30 | 31 |
| 9.ბილბაო | 22 | 7 | 9 | 6 | 34:30 | 30 |
| 10.რაიო | 22 | 8 | 4 | 10 | 27:32 | 28 |
| 11.ხეტაფე | 22 | 7 | 6 | 9 | 22:29 | 27 |
| 12.სევილია | 21 | 6 | 8 | 7 | 22:24 | 26 |
| 13.ბეტისი | 22 | 8 | 2 | 12 | 25:31 | 26 |
| 14.ვილიარეალი | 22 | 6 | 8 | 8 | 23:30 | 26 |
| 15.მალიორკა | 22 | 6 | 7 | 9 | 19:28 | 25 |
| 16.სოსიედადი | 21 | 6 | 6 | 9 | 23:30 | 24 |
| 17.რასინგი | 22 | 4 | 11 | 7 | 18:26 | 23 |
| 18.გრანადა | 21 | 6 | 4 | 11 | 15:30 | 22 |
| 19.ხიხონი | 22 | 5 | 4 | 13 | 20:43 | 19 |
| 20.სარაგოსა | 22 | 3 | 6 | 13 | 18:38 | 15 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ერკულესი-დეპორტივო ................ 1:4
ხირონა-ალმერია ......................... 0:1

### იტალია. სერია ა

ატალანტა-ლეჩე .......................... 0:0
ინტერი-ნოვარა ........................... 0:1
კატანია-ჯენოა ............................ 4:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 5 | 4 | 45:20 | 47 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33:13 | 45 |
| 3.უდინეზე | 23 | 12 | 5 | 6 | 34:22 | 41 |
| 4.ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 34:22 | 39 |
| 5.ინტერი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:30 | 36 |
| 6.რომა | 22 | 10 | 5 | 7 | 36:26 | 35 |
| 7.ნაპოლი | 22 | 7 | 10 | 5 | 36:24 | 31 |
| 8.პალერმო | 23 | 9 | 4 | 10 | 33:34 | 31 |
| 9.კალიარი | 23 | 7 | 9 | 7 | 22:24 | 30 |
| 10.ჯენოა | 22 | 9 | 3 | 10 | 31:42 | 30 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23:19 | 28 |
| 12.კატანია | 21 | 6 | 9 | 6 | 27:29 | 27 |
| 13.პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27:34 | 27 |
| 14.კიევო | 22 | 7 | 6 | 9 | 19:28 | 27 |
| 15.ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 25:27 | 24 |
| 16.ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18:26 | 22 |
| 17.სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 21:22 | 20 |
| 18.ლეჩე | 23 | 4 | 6 | 13 | 22:38 | 18 |
| 19.ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13:31 | 16 |
| 20.ნოვარა | 23 | 3 | 7 | 13 | 20:42 | 16 |

### იტალია. სერია ბ

ბარი-სასუოლო ............................ 1:2
ლივორნო-ვიჩენცა ...................... 1:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ნიურნბერგი .............. 0:0
კიოლნი-ჰამბურგი ....................... 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 14 | 4 | 3 | 46:14 | 46 |
| 2.ბაიერნი | 21 | 13 | 2 | 5 | 49:14 | 44 |
| 3.გლადბახი | 21 | 13 | 4 | 4 | 34:12 | 43 |
| 4.შალკე | 21 | 13 | 2 | 6 | 46:28 | 41 |
| 5.ვერდერი | 21 | 9 | 6 | 6 | 34:35 | 33 |
| 6.ლევერკუზ. | 21 | 8 | 7 | 6 | 28:28 | 31 |
| 7.ჰანოვერი | 21 | 7 | 10 | 4 | 23:25 | 31 |
| 8.ვოლფსბურგი | 21 | 8 | 3 | 10 | 27:38 | 27 |
| 9.შტუტგარტი | 21 | 7 | 5 | 9 | 31:28 | 26 |
| 10.ჰამბურგი | 21 | 6 | 8 | 7 | 26:34 | 26 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 21 | 6 | 7 | 8 | 23:25 | 25 |
| 12.კიოლნი | 21 | 7 | 3 | 11 | 29:41 | 24 |
| 13.მაინცი | 21 | 5 | 8 | 8 | 29:35 | 23 |
| 14.ნიურნბერგი | 21 | 6 | 4 | 11 | 19:31 | 22 |
| 15.ჰერტა | 21 | 4 | 8 | 9 | 25:36 | 20 |
| 16.კაიზერი | 21 | 3 | 9 | 9 | 15:26 | 18 |
| 17.აუგსბურგი | 21 | 3 | 9 | 9 | 19:33 | 18 |
| 18.ფრაიბურგი | 21 | 4 | 5 | 12 | 27:47 | 17 |

## შედეგები

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-დუისბურგი ........................ 4:2
ფიურტი-პადერბორნი ................... 5:1
ზანკტ პაული-ბოხუმი .................. 2:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ლილი-ბორდო ............................. 4:5
ნიცა-პსჟ ..................................... 0:0
ტულუზა-სენტ ეტიენი ................. 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 15 | 5 | 3 | 38:19 | 50 |
| 2.მონპელიე | 23 | 15 | 4 | 4 | 45:23 | 49 |
| 3.ლილი | 22 | 10 | 9 | 3 | 40:26 | 39 |
| 4.ლიონი | 23 | 12 | 3 | 8 | 37:27 | 39 |
| 5.რენი | 23 | 11 | 6 | 6 | 33:25 | 39 |
| 6.მარსელი | 22 | 10 | 8 | 4 | 33:21 | 38 |
| 7.სტ.ეტიენი | 22 | 10 | 6 | 6 | 25:24 | 36 |
| 8.ტულუზა | 23 | 9 | 7 | 7 | 22:23 | 34 |
| 9.ბორდო | 23 | 8 | 9 | 6 | 29:27 | 33 |
| 10.ლორიენი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:25 | 27 |
| 11.ვალანსიენი | 23 | 7 | 5 | 11 | 23:26 | 26 |
| 12.ბრესტი | 23 | 4 | 13 | 6 | 21:22 | 25 |
| 13.ევიანი | 22 | 5 | 8 | 9 | 29:35 | 23 |
| 14.კაენი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:33 | 23 |
| 15.ნანსი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:30 | 23 |
| 16.დიჟონი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:42 | 23 |
| 17.აიაჩო | 23 | 5 | 7 | 11 | 25:42 | 22 |
| 18.ნიცა | 23 | 4 | 8 | 11 | 22:26 | 20 |
| 19.ოსერი | 22 | 4 | 8 | 10 | 29:36 | 20 |
| 20.სოშო | 22 | 4 | 7 | 11 | 22:37 | 19 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

უტრეხტი-დენ ჰააგი ..................... 1:1
ვალვაიკი-ჰერენვენი ................... 0:1
პსვ-გრააფსხაპი .......................... 4:1
ფეინოორდი-ვიტესი ..................... 3:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 21 | 13 | 6 | 2 | 57:23 | 45 |
| 2.ალკმაარი | 21 | 14 | 3 | 4 | 45:18 | 45 |
| 3.ჰერენვენი | 21 | 11 | 7 | 3 | 48:31 | 40 |
| 4.ფეინოორდი | 21 | 12 | 4 | 5 | 44:27 | 40 |
| 5.ტვენტე | 20 | 11 | 6 | 3 | 54:22 | 39 |
| 6.აიაქსი | 21 | 10 | 7 | 4 | 51:30 | 37 |
| 7.ვიტესი | 21 | 9 | 5 | 7 | 26:23 | 32 |
| 8.როდა | 21 | 10 | 1 | 10 | 38:45 | 31 |
| 9.გრონინგენი | 21 | 8 | 5 | 8 | 32:38 | 29 |
| 10.ერაკლესი | 21 | 7 | 6 | 8 | 35:30 | 27 |
| 11.ვალვაიკი | 21 | 7 | 3 | 11 | 24:34 | 24 |
| 12.ნაიმეგენი | 21 | 7 | 2 | 12 | 20:30 | 23 |
| 13.დენ ჰააგი | 21 | 6 | 5 | 10 | 26:43 | 23 |
| 14.უტრეხტი | 21 | 5 | 7 | 9 | 32:39 | 22 |
| 15.ბრედა | 21 | 6 | 4 | 11 | 25:35 | 22 |
| 16.ვენლო | 21 | 4 | 4 | 13 | 21:50 | 16 |
| 17.ექსელსიორი | 21 | 3 | 5 | 13 | 15:47 | 14 |
| 18.გრააფსხაპი | 20 | 3 | 4 | 13 | 18:46 | 13 |

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

ზვოლე-იგლზი ............................. 0:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ოლჰანენსე-რიუ ავე ..................... 0:2
ფერეირა-ფეირენსე ...................... 3:1
ბეირა მარი-გიმარაეში ................. 0:1
პორტუ-ლეირია ........................... 4:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 18 | 15 | 3 | 0 | 47:15 | 48 |
| 2.პორტუ | 18 | 13 | 4 | 1 | 42:12 | 43 |
| 3.ბრაგა | 18 | 12 | 4 | 2 | 35:16 | 40 |
| 4.სპორტინგი | 18 | 9 | 5 | 4 | 29:16 | 32 |
| 5.მარიტიმუ | 18 | 9 | 5 | 4 | 26:21 | 32 |
| 6.გიმარაეში | 18 | 8 | 2 | 8 | 24:19 | 26 |
| 7.ოლჰანენსე | 18 | 5 | 6 | 7 | 20:24 | 21 |
| 8.აკადემიკა | 17 | 5 | 5 | 7 | 18:20 | 20 |
| 9.ჟილ ვისენტე | 17 | 4 | 7 | 6 | 17:27 | 19 |
| 10.ნასიონალი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:31 | 19 |
| 11.რიუ ავე | 18 | 5 | 3 | 10 | 16:23 | 18 |
| 12.ფერეირა | 18 | 5 | 3 | 10 | 23:36 | 18 |
| 13.ბეირა მარი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:17 | 16 |
| 14.ფეირენსე | 18 | 3 | 6 | 9 | 13:27 | 15 |
| 15.ლეირია | 18 | 4 | 2 | 12 | 18:37 | 14 |
| 16.სეტუბალი | 18 | 3 | 5 | 10 | 14:32 | 14 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-იანგ ბოიზი ....................... 0:1
ციურიხი-გრასჰოპერსი ................ 2:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ნოიშტადი-რაპიდი ....................... 0:0

### ბელგია. პროლიგა

სტანდარდი-ანდერლეხტი ............. 1:2
გენტი-ბრიუგე .............................. 1:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-კერკირა .................. 3:1
დოჰა-პანეთოლიკოსი .................. 2:1
არისი-ერგოტელისი ...................... 1:1
ლევადიაკოსი-ასტერასი .............. 0:1
პანათინაიკოსი-ქსანთი ................ 3:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ისთანბული-ანკარაგიუჯიუ .......... 3:0
ორდუ-ანტალია ............................ 3:2
მანისა-ბურსა ............................... 1:3
სამსუნი-ერჩიესი ......................... 3:1
ქარაბუქი-ფენერბახჩე .................. 2:1

### არგენტინა. კლაუსურა

რაფაელა-ბანფილდი .................... 3:0
ველესი-გოდოი ............................. 1:1
რასინგი-ტიგრე ............................ 0:0
არხენტინოსი-უნიონი ................... 0:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ტორონტო-ლეიკერსი .................. 92:94
ბოსტონი-ჩიკაგო ......................... 95:91
დეტროიტი-ვაშინგტონი ............... 77:98
ატლანტა-მაიამი ........................ 87:107
*ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 9 მოხსნა*
გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი ... 106:97
მემფისი-იუტა ............................. 88:98

## ჩოგბურთი

### ვტა. პატაია. პარი

### ფინალი

პანტუჩოვა-კირილენკო .... 6:7;6:3;6:3

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

რეინჯერსი-ვაშინგტონი ............... 3:2
აილენდერსი-ფლორიდა ............... 1:4
დალასი-ლოს ანჯელესი ............... 2:4
კოლამბუსი-ანაჰაიმი .................. 3:5
პიტსბურგი-ტამპა ბეი ................. 4:2
სენტ ლუისი-სან ხოსე ................. 3:0
დეტროიტი-ფილადელფია ............ 4:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2012, 14 თებერვალი, №37

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალების მიზეზი 6-8 კვირაში გახდება ცნობილი

აშშ-ს ხელისუფლება ლეგენდარული პოპვარსკვლავის უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალების ყველა გარემოებაზე მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გამოაცხადებს.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეარხი „ფოქს ნიუსი“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით სწორედ ამ თხოვნით მიმართა სასამართლოს გამომძიებელს პოლიციამ. ექსპერტიზის შედეგები კი 6-8 კვირის შემდეგ გახდება ცნობილი.

ამასთან ერთად, გამომძიებელი ასევე ადასტურებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ მომღერალს ძალადობრივი გზით გარდაცვალების კვალი არ ემჩნევა.

გამომძიებელი ასევე ადასტურებს, რომ უიტნი ჰიუსტონის ცხედარი ლოს ანჯელესში მდებარე სასტუმრო „ბევერლი ჰილს ჰილტონშის“ სააბაზანო ოთახში აღმოაჩინეს.

ცნობილი ხდება, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ, მისი 18 წლის ქალიშვილი ნერვული აშლილობით, ლოს ანჯელესის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პარალელურად არ წყდება მომღერლის თაყვანისმცემელთა რიცხვი სასტუმრო „ბევერლი ჰილტონთან“. ფანები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იკ-



რიბებიან. მისი კოლეგები და პარტნიორები კი ჰიუსტონის გარდაცვალების გამო კვლავ სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ ბლოკზე გამოთქვამენ მწუხარებას.

ენრიკე იგლესიასმა საკუთარ გვერდზე მის ოჯახს მიუსამძიმრა და განაცხადა, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდება ის გამოცდილება, რაც პოპის ლეგენდასთან მუშაობის პერიოდში მიიღო.

მისი გარდაცვალება მალევე იქცა მთავარ თემად წითელ ხალიჩაზე. გრემის დაჯილდოება მისადმი მიძღვნილი ლოცვით დაიწყო.

ლას-ვეგასში კი ტურნეს ფარგლებში პოპის ლეგენდის ხსოვნას სიმღერა ელტონ ჯონმა მიუძღვნა.

– ცნობილი ამერიკელი მომღერალი, უიტნი ჰიუსტონი ფსიქოტროპულ პრეპარატს „კსანაქსს“ იღებდა, რომელმაც ძილის ეფექტი გამოიწვია და მომღერალი აბაზანაში დაიხრჩო, – წერს ერთ-ერთი ინტერნეტ-პორტალი, რომელიც პოპვარსკვლავის სიკვდილის გარემოებების შესახებ ექსკლუზიურ მასალას აქვეყნებს.

გამოცემა სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ სასტუმროს თანამშრომლებმა უგონო მდგომარეობაში მყოფი ჰიუსტონი აბაზანაში აღმოაჩინეს. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს კი ცხედარი უკვე ოთახში დახვდათ.

მომღერლის ნომერში პრეპარატ „კსანაქსის“ აბებიც აღმოჩნდა, რომელსაც ის ექიმის დანიშნულებით იღებდა.

ჰიუსტონის ახლობლებიც ადასტურებენ, რომ მომღერალს „კსანაქსის“ რეცეპტი ჰქონდა. როგორც წყარო ამტკიცებს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჰიუსტონმა ერთ-ერთ წვეულებაზე ბევრი ალკოჰოლი მიიღო.

– სასმელისა და მედიკამენტის ურთიერთმოქმედებას კი შესაძლოა, აბაზანის მიღებისას ძილის ეფექტი გამოეწვია და მომღერალი წყალში ჩავარდნილიყო, – წერს გამოცემა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

სპორტი

# ლიპარტიას პენალტები ბავშვის დაბადების დღეს გააქვს

ლუგანსკის „ზარიას“ ქართველი ნახევარმცველის, ჯაბა ლიპარტიას ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ჩვენ ამ ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.

– შეკრებაზე ქუთაისის „ტორპედოს“ ეთამაშეთ. ალბათ, ეს განსაკუთრებულად საინტერესო შეხვედრა იყო თქვენთვის – როგორი გრძნობა დაგეუფლათ თანამემამულეების კარში პენალტის გატანისას?

– „ტორპედოში“ ბევრი ნაცნობი მყავს, რომლებიც ადრე ჩემი თანაგუნდელები იყვნენ. ძველ მეგობრებთან შეხვედრა და გასაუბრება სასიამოვნოა. სიმართლე გითხრათ, პენალტის დარტყმა არ მინდოდა, მაგრამ მწვრთნელმა თამაშის წინ თქვა, პენალტი თუ დაინიშნა, ლიპარტია დაარტყამსო. ასეც მოხდა და გავიტანე. „ტორპედოს“ ფეხბურთელებთან მინდორს მიღმა ვმეგობრობ, მინდორზე კი მეტოქეები ვართ.

– მოლდოვურ „აკადემიასთან“ „ზარიამ“ ორი პენალტი დაარტყა და ვერცერთი ერთი ვერ გამოიყენა.

– ასეთი რამ ყველას შეუძლია დაემართოს – ეს ფეხბურთია. რობერტო ბაჯომაც ვერ გაიტანა პენალტი, თანაც კარიერის უმნიშვნელოვანეს მატჩში.

– შეკრებაზე რომელმა მეტოქემ დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

– მოულოდნელი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ეს სოფიის „ლევსკი“ იყო. საინტერესო მატჩი გამოვიდა. მათ კარგი შემსრულებლები ჰყავს.

– რაც უფრო ძლიერია მეტოქე, მით უფრო საინტერესო მატჩი გამოდის და შედეგიც კი მეორეხარისხოვანი ხდება – ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– დიახ. „ლევსკისთან“ ასე იყო – ტოლ-სწორად ვეთამაშეთ.

– მცირე შვებულებას სად გაატარებთ?

– საქართველოში გავფრინდები, სამ დღეს ოჯახში გავატარებ.

– ალბათ, ძნელია, მუდმივად იტრიალო თურქეთს, უკრაინასა და საქართველოს შორის.

– ძნელია, მაგრამ ყველაფერს ეჩვევი. ამ ყველაფერს უკვე მშვიდად ვუყურებ.

– „ზორია“ პირველი უცხოური კლუბია თქვენთვის. მიეჩვიეთ უკრაინას?

– თითქმის უკვე სუფთა სისხლის უკრაინელი ვარ... ჩემპიონატის დროს ლუგანსკში ჩემი ოჯახიც ცხოვრობს. ამასთან, ურთიერთობას ვინარჩუნებ არა მხოლოდ თანაგუნდელებთან, არამედ სხვა კლუბის მოთამაშეებთანაც. ლუგანსკი ჩემთვის უცხო ქალაქი აღარაა.

– თუ არ ვცდები, თქვენი ვაჟი თორნიკე ახლახან ერთი წლის გახდა.

– მართალი ბრძანდებით. 3 თებერვალს ჰქონდა დაბადების დღე. სხვათა შორის, შარშან 3 თებერვალს თბილისის „დინამოსთან“ გვქონდა მატჩი, მაშინ პენალტი დავარტყი და ვერ გავიტანე. ახლაც, 3 თებერვალს ქუთაისის „ტორპედოს“ შევხვდით, ისევ დავარტყი და ამჯერად, ზუსტად.

მ. ყ.

დასაწყისი მე-10 გვერდზე

# ნინო ქათამაძე ალბომის პრეზენტაციას თბილისში მოაწყობს

და დაკვრას იწყებს. მეც მაიძულებს ფორტეპიანოზე დავუკრა. ჩემი ყველა სიმღერა იცის, თუმცა ჩემთან ერთად არ მღერის, ურჩევნია ქუჩაში ბავშვებთან ერთად იმღეროს.

*– თქვენს პატარა ბიჭუნას როგორ ზრდით?*

– ჩვენ ლექსიკონიდან ამოვშალეთ სიტყვა „არა“. მგონია, რომ როცა ბავშვი ტირის, უნდა უთხრა „იტირე, გთხოვ“ და არა პირიქით. ბავშვებთან პატივისცემით მოქცევა ჯობს. კი არ უნდა დაუძახო, უნდა მოიწვიო, პატივი სცე მის აზრს და არაფერი უბრძანო.

*– თავადაც ასე გზრდიდნენ? ვისი „ბრალია“, დღეს რომ მუსიკოსი ხართ?*

– მუსიკა თავად ავირჩიე და მთელი ცხოვრება ამ საქმით ვარ დაკავებული. სხვათა შორის, მუსიკალური სასწავლებლიდან ორჯერ გამრიცხეს ფიზკულტურის გაკვეთილების გაცდენისთვის. სპეციალობაში (ვოკალი, სოლფეჯიო) ყოველთვის უმაღლესი შეფასებები მქონდა, სამაგიეროდ, ფიზკულტურაში მოვიკოჭლებდი. ამის მიუხედავად, ყოველთვის ვიცოდი, რა იყო მნიშვნელოვანი და რა არა.

*– და რა არის მთავარი თქვენთვის?*

– ყოველთვის გულგრილი ვიყავი მატერიალური სიმდიდრის მიმართ. ჯერ კიდევ 3-4 წლის ასაკში, მთელ დროს მამაჩემის სახელოსნოში ვატარებდი, რომელიც ოქრომჭედელი იყო. ძვირფასი ლითონები და ქვები ყოველთვის ფეხებში მედებოდა. ოქროულს ყურადღებასაც არ ვაქცევდი. სამაგიეროდ, საკუთარი ხელით შექმნილი სამყარო მთელ სიმდიდრედ მიმაჩნია. მამამ 40 წლის წინ, ააშენა სახლი, რომელსაც ყველა ოთახში ყველა კედელზე დიდი ფანჯრები ჰქონდა. სახლში ყოველთვის იყო მზე. ეს ახლა აშენებენ სახლებს, რომლებსაც ფანჯრები იატაკიდან ჭერამდე აქვთ, მაშინ ეს იშვიათობა იყო. ჩვენ ვცხოვრობდით მთაში, პატარა სახლი გვქონდა, მაგრამ ის სახლი ჩემთვის ყველაზე მყუდრო ადგილი იყო დედამიწაზე. ახლანდელი მრავალსართულიანი მონსტრები თავს მტკენენ. ვიღაც მაღლა ცხოვრობს, ვიღაც დაბლა, ვიღაც გვერდზე. შენამდე აღწევს მათი ისტორიები, ცრემლები, ტკივილი თუ სიხარული. ეს ყველაფერი საშინელ კაკაფონიას ქმნის და ამის ატანა არ შემიძლია.

*– ანუ ხალხისგან განმარტოება მოგწონთ?*

– დიახ, სიჩუმე მიყვარს. გარდა ამისა, ქალაქში ადამიანი თითქოს არ იზრდება, ურჩევნია, არაფერზე იყოს პასუხისმგებელი. ვცხოვრობთ დიდ ქალაქებში, ამ დიდ სახლებში მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქში მეტი ფულია და ეს ქალაქი გვარჩენს. არც მიწის დამუშავებაა საჭირო, არც ინდაურების გამოკვება და არც ბავშვის აღზრდა – მხოლოდ სამსახურში დადიხარ, ბავშვიც ან სკოლაშია ან ბაღში. ქალაქში ვერ გრძნობ მიწას, მის სურნელს, არც ჩიტების გალობა გესმის. მარტო სამსახურზე ფიქრობ და ასე იქცევი რობოტებად. იცით რა შევნიშნე? ვისაც მიწასთან შეხება ჰქონია, თუნდაც ზაფხულობით სოფელში, ბებიასთან ჩადიოდა არდადეგებზე, კრეფდა ხილს, აგროვებდა შეშას, მან სოფლის სურნელი იცის და ის აბსოლუტურად განსხვავდება დანარჩენი ადამიანებისგან.

*– ნინო, დიდი ოჯახი გყავთ?*

– ჩვენს სახლში ყოველთვის ბევრი ხალხი ცხოვრობდა. ბავშვები, ბებიები, ბაბუები, დიდი ბებიები, დიდი ბაბუები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ზაფხულშიც ჩამოდიოდნენ და ზამთარშიც. ჩვენს სახლში ყოველთვის ბევრი საჭმელი მზადდებოდა.

*– ყველანი მღეროდნენ?*

– დიახ, ჩვენთან ყოველთვის სიმღერა ისმოდა. ბიძაჩემი სკოლაში ასწავლიდა მუსიკას, გუნდს ხელმძღვანელობდა და მეც გვერდით ვყავდი. მან მასწავლა სიმღერა, ის ყოველთვის მღეროდა – სახლშიც, სამსახურშიც და შრომაშიც. მასთან სამსახურში ხშირად დავდიოდი, მის ინსტრუმენტებს ვეხებოდი, მუსიკას ვგრძნობდი. ყველა ვინც გარშემო მყავდა ბავშვობაში – მშობლები, მეზობლები, მაგრძნობინებდნენ, რომ ცხოვრება მშვენიერია. მის სუნთქვას ყოველთვის ვგრძნობ, ვხედავ, როგორ იძლევიან ხეები ნაყოფს, მესმის, როგორ გალობენ ჩიტები, ამიტომ მაქვს სულ სიმღერის სურვილი.

*– როგორი ბავშვობა გქონდათ?*

– მეჩვენებოდა, რომ ირგვლივ სულ სასწაულები ხდებოდა. უზარმაზარი მანდარინის ბაღი გვქონდა. მას ერთი ჰექტარის ტერიტორია ეკავა. 7-8 წლის ვიქნებოდი, როცა ძალიან დიდი თოვლი მოვიდა და ბაბუა შუა ღამით იმისთვის ადგა, რომ ხეებიდან თოვლი ჩამოებერტყა, თუ არადა სიმძიმე ტოტებს დაამტვრევდა. მეც თან წამიყვანა. დილის 4 საათზე გავედით ბაღში. მახსოვს, სიჩუმის და თოვლის სუნი იდგა, ცა საოცარი ფერის იყო. საკუთარი სუნთქვა კი მუსიკად მეჩვენებოდა. რას არ მივცემდი, ის შეგრძნება რომ ერთხელ კიდევ განვიცადო. ჩვენს სოფელში ქართველები და ბერძნები ერთად ვცხოვრობდით, ბერძნებს ძალიან უყვარდათ ყვავილები, მათ ეზოში აუცილებლად იდგა მიმოზა, მათ კერძებს სხვანაირი სურნელი ჰქონდა, ჩვენებს – სხვანაირი, მათ სხვანაირი ფონეტიკა ჰქონდათ, მათი ლაპარაკი სხვანაირად ისმოდა. როცა ქორწილი ჰქონდათ, ორი დღე გაუჩერებლად ცეკვავდნენ სირტაკს. ჩემი ბერძენი მეზობელი ძია ანეზი ყოველ დღე გამომივლიდა მანქანით და სკოლაში მივყავდი. ჩვენი სკოლა 3-4 კილომეტრის მოშორებით იყო. სკოლამდე ფეხით გვიწევდა ბავშვებს მისვლა, იმიტომ, რომ ავტობუსი დიდი ინტერვალებით მოძრაობდა. მთელი 10 წლის განმავლობაში ძია ანეზი სკოლაში მანქანით დამატარებდა, თან ყოველთვის ჩუმად, უსიტყვოდ, ღიმილით მიმიყვანდა სკოლაში, ისე, რომ არაფერს არ შემეკითხებოდა. ახლა ვხვდები, რომ ეს არ არის უბრალო ისტორია. მას შეეძლო სულ არ მოეკითხა ჩემთვის, ან ცუდად ყოფილიყო, მას ჰქონდა უფლება 20 წუთით გვიან წასულიყო სახლიდან, მაგრამ ის ყოველთვის მაკითხავდა. ამას წინათ რომ ჩავედი, მაგრად ჩავეხუტე და ვუთხარი, დიდი მადლობა, ძია ანეზ, რომ სკოლაში მატარებდით-მეთქი. მას ძალიან გაუხარდა. ხომ შეიძლებოდა ეს მომენტი ჩემი გონებიდან ამოვარდნილიყო, მაგრამ ამ ადამიანის სიკეთე არ დამვიწყებია და არც არასოდეს დამავიწყდება.

*– საქართველოში ბევრს მოგ ზაურობთ?*

– საქართველოს ვეცნობი ჩემი სტუმრების წყალობით. სამწუხაროდ, მონასტრებს და ეკლესიებს ხშირად ვერ ვსტუმრობ, მაგრამ როცა სტუმრები მყავს საქართველოში, ყოველთვის სიხარულით მივდივარ მათთან ერთად. ერთხელ ასეთი ისტორიაც შეგვემთხვა – მცხეთაში, სვეტიცხოველში წავედით, ეს ყველაზე ლამაზი ადგილია მთელ დედამიწაზე. მამაო მომიყვა ისტორიას ერთ ადამიანზე, რომელიც ყოველდღე დადიოდა ტაძარში. ის საკმაოდ გაწონასწორებული, მაღალი, ლამაზი, მშვიდი, კარგად ჩაცმული ასაკოვანი მამაკაცი იყო. ყოველდღე ეს ადამიანი ტაძარში მიდიოდა დიდი ჩემოდნით, გახსნიდა მას, დადებდა იატაკზე და მის გარშემო დადიოდა. ასე იარა ამ ადამიანმა ტაძარში ორი კვირა. როცა მას მამაომ ჰკითხა, რას აკეთებო, მამაკაცმა უპასუხა, მადლს ვაგროვებო.

*– რა დამოკიდებულება გაქვთ ქართულ-რუსული დაპირისპირებების მიმართ?*

– ეს ტკივილზე ბევრად მეტია. აგვისტოს ომის დაწყებისას ჩემი შვილი სამი თვის იყო. ამის მერე მეშინია თვითმფრინავის ხმების, რადგან ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ბომბავდნენ თბილისში სტრატეგიულ ადგილებს. 8 აგვისტოს დაბომბვა დაიწყო, 25 სექტემბერს კი რუსეთში ალბომის „ბლუ“ (ლურჯი) პრეზენტაცია მქონდა დაგეგმილი. დიდხანს ვიფიქრეთ, როგორ მოვქცეულიყავით. გადავწყვიტეთ, რომ ყინულის გადნობა და მტრობის განელება დაგვესახა მიზნად. გვინდოდა გვეთქვა, რომ ცოცხლები ვართ და ჩამოვედით. ალბომის პრეზენტაცია შედგა. სწორედ ამ პერიოდში იური შევჩუკმა მოაწყო გრანდიოზული აქცია „ნე სტრელიაი“ (არ ისროლო), რომელშიც ოსები, უკრაინელები და ქართველები ვიღებდით მონაწილეობას. ეს აქციაც 2008 წლის სექტემბერში გაიმართა.

*– ნინო, ბედნიერი ადამიანი ჩანხართ.*

– დიახ, ნამდვილად ასეა და უფრო ბედნიერი ვიქნები, როცა მთებში მიმალულ, ჩემს პატარა სახლში დავბინავდები და საცხოვრებლად სამუდამოდ იქ დავრჩები.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. წვრილი ოქროს ჯაჭვი; 2. რეგიონი კახეთში; 3. სამშობიარო სახლი ძველად საქართველოში; 4. ქერის პური; 5. მდინარე პალესტინაში; 7. გემის სამზარეულო; 11. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 12. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. სარეკლამო ლოზუნგი; 15. პირველი შვილი; 17. სამგზის ოსკაროსანი ჰოლივუდის კინორეჟისორი; 19. ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა.

**თარაზულად:** 5. გულუბრყვილო ქალის როლების შემსრულებელი თეატრში; 6. უღელტეხილი აჭარაში; 8. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 9. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი; 10. გადასახადის ამკრეფი დაწესებულება ძველად; 11. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 13. კორიდის ცხენიანი მონაწილე; 14. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 16. რაიონი თბილისში; 18. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ბრიტანელი ფიზიკოსი, პარლამენტის წევრი; 21. სპარსული მითების, ლეგენდების, თქმულებების ლიტერატურული კრებული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კვართი; 7. ვესტერნი; 8. ტონიკა; 10. ინოლა; 11. ლანდსტინგი; 13. ნეისტონი; 16. ოლიმპი; 19. აპატრიდი; 20. კარაველა.

**შვეულად:** 1. ევფონია; 2. ეთიკა; 3. კემპინგი; 4. ლემინგი; 5. დიაპაზონი; 9. კრიშნა; 12. კლუატრი; 14. ეფედრა; 15. ტიტა; 17. პანდა; 18. ფარა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. გარგარი; 2. გო; 3. აგური; 4. ალასანია; 5. რუ; 6. გული; 7. სტარკი; 8. ერა; 9. ტენორი; 10. ანძა; 11. ფასი; 12. ლიბია; 13. ცეცე; 14. მა; 15. ვოლანი; 16. ბუცი; 17. ერწო; 18. დოვლათი; 19. დიანა; 20. მის; 21. მედიანა; 22. ბაიკალი; 23. საწვიმარი; 24. რიგოდონი; 25. ჩაი; 26. ფარვანა; 27. არკა; 28. ნაგლინი; 29. ათოსი; 30. ადლი; 31. საპალნე; 32. დაფნა; 33. სინდისი; 34. სი.

**სურათებზე:** სელინ დიონი; დენი ლანდძაატი.

# თურქმენეთის პრეზიდენტი კვლავ გურბანგული ბერდიმუჰამედოვი გახდება

თურქმენეთში ჩატარებული არჩევნების შედეგად, წინასწარი ინფორმაციით, ქვეყნის მოქმედი ლიდერი გურბანგული ბერდიმუჰამედოვი ლიდერობს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

ადგილობრივი ცესკოს ინფორმაციით, გურბანგული ბერდიმუჰამედოვს ხმა ამომრჩეველთა 97,14 % მისცა. ამომრჩეველთა აქტიურობამ სულ 96 % შეადგინა.



– ასე რომ, გურბანგული ბერდიმუჰამედოვი არჩეულია მეორე საპრეზიდენტო ვადით. სულ საპრეზიდენტო არჩევნებში რვა კანდიდატი მონაწილეობდა, თუმცა მოქმედი პრეზიდენტი უდავო ფავორიტი იყო. მისმა მოწინააღმდეგეებმა 0.16 დან 1,7 % მდე დააგროვეს, – წერს „გაზეტა რუ".

კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტს ამ ქვეყანაში 5 წლის ვადით ირჩევენ. ამომრჩეველთა სიაში 2 მილიონ 987 ათას 324 ადამიანი იყო.

თურქმენეთიდან მოსული ცნობების თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩევლის „სარეკორდო აქტიურობა" აღირიცხა.

სააგენტო „ფრანს-პრესის" თანახმად, კენჭისყრა საზეიმო ატმოსფეროში წარიმართა – მუსიკის, და ამომრჩევლებისთვის საჭმლის თუ საჩუქრების დარიგების ფონზე.

როგორც აღვნიშნეთ, ეჭვს თითქმის არ იწვევს ის, რომ ამჟამინდელი პრეზიდენტი, გურბანგული ბერდიმუხამედოვი, დაამარცხებს დანარჩენ შვიდ, შედარებით უცნობ კანდიდატს.

თავად ბერდიმუხამედოვი ხმის მისაცემად აშხაბადის ერთ-ერთ უბანზე მამასთან, ვაჟთან და შვილიშვილთან ერთად მივიდა. მან მამას, როგორც ოჯახის უფროსს, საშუალება მისცა ბიულეტენი ყუთში პირველს ჩაეგდო

ცნობისთვის, თურქმენეთის საზღვრების ფორმირება საბჭოთა ეპოქაში მოხდა. მოკავშირე რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში 1925 წლიდან. მისი დაშლის შემდეგ 1992 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

არის დსთ-ს წევრი ქვეყანა. პრეზიდენტის ძალაუფლება თითქმის აბსოლუტურია, არ არსებობს ოპოზიცია, ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაციაა თურქმენეთის დემოკრატიული პარტია.

სახეზეა პიროვნების კულტის ყველა ნიშანი: თურქმენბაშის („თურქმენთა ლიდერი"–საფარმურატ ნიაზოვის) გამოსახულებაა ყველგან ბანკნოტებიდან დაწყებული სასურსათო პროდუქციის ეტიკეტებით დამთავრებული.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე 1999 წელს მეჯლისმა მას უვადო საპრეზიდენტო უფლებამოსილება განუსაზღვრა.

თუქმენეთი 69 წლის მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 27 ოქტომბერს.

პირველი პრეზიდენტი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსანი საფარმურატ ნიაზოვი (იგივე თურქმენბაში), რომელიც თურქმენეთს 1985 წლიდან მართავდა როგორც თურქმენეთის სსრ-ს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი.

მან მოიპოვა აბსოლუტური კონტროლი სახელწიფოს პოლიტიკურ სისტემაზე. 1999 წლის 28 დეკემბერს ნიაზოვი თურქმენეთის ახალარჩეული მეჯლისის მიერ გამოცხადდა პრეზიდენტად მთელი სიცოცხლის ვადით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეჯლისი არჩეულ იქნა ოპოზიციის არარსებობის პირობებში, კანდიდატები კი თავად ნიაზოვმა შეარჩია.

თურქმენბაში მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა 2006 წლის დეკემბერში.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა საქართველოში ტრანსპორტისა და გადაზიდვების სფეროს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ცნობილი ბიზნესმენი

**გიორგი (გოგი) ცომაია**

პანაშვიდი: 14, 15 თებერვალს, 15 საათზე, საირმის გორა №33.

გამოსვენება: 16 თებერვალს, 14 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიიდან (ველოტრეკის მიმდებარე ტერიტორია).

მეგობრების ჯგუფი

გულრიფშის რაიონის დრანდის სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**მალხაზ გერონტის ძე თოდუას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამშობიარო „იმედის კლინიკის" კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კლინიკის თანამშრომლის რაია არაბიანის მამის

**სერგო გინოვიანის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ისრაელი მკვდარ ზღვას გადაარჩენს

ისრაელმა მკვდარი ზღვის გადარჩენის გადაწყვეტილებაა მიიღო და ბუნებრივი ბალანსის ალსადგენად 833 მლნ. შეკელს დახარჯავს.

გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული თანხის განკარგვა მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოხდება.

ტამარის რეგიონალური საბჭოს წარმომადგენლის დოვ ლიტვინოვის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება და მკვდარი ზღვის გადარჩენა მთავრობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებაა.

მკვდარი ზღვა – გაუდინარი მლაშე ტბაა, რომელიც მდებარეობს ისრაელისა და იორდანიის საზღვარზე. ფართობი 810 კმ, სიგრძე 67 კმ, სიგანე 18 კმ.

უკავია გპორის ტექტონიკური ღრმულის ყველაზე დაბალი ნაწილი.

მკვდარი ზღვა წარმოადგენს ხმელეთის ყველაზე ღრმა დეპრესიას დედამიწაზე, რომლის წყლის დონე ზღვის დონიდან – 423 მ-ზე მდებარეობს. მაღალია მარილის შემცველობა (33.7%).

ალმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირები ციცაბო და კლდოვანია, ჩრდილოეთით და სამხრეთით ეკვრის საააპირო ვაკე. უმთავრესად საზრდოობს მდინარე იორდანეს წყლით. ჰავა ცხელია, მშრალი. ნალექები 50-100 მმ წელიწადში. აორთქლება ინტენსიურია.



მაღალი მარილიანობის გამო ტბა მოკლებულია ორგანულ სიცოცხლეს. დამახასიათებელია დონის მნიშვნელოვანი რყევა. სანაპიროებზე იღებენ მინერალურ მარილებს.

ბიბლიის მიხედვით, მკვდარი ზღვის ტერიტორიაზე არსებობდა ორი ქალაქი: სოდომი და გომორი.

მკვდარი ზღვა ყველაზე ღრმა (378 მ) და მე-2 მლაშე ტბაა მსოფლიოში. მისი სიმლაშე ოკეანესთან შედარებით 8,6 – ჯერ მეტია, რის გამოც აქ ბაქტერიების გარდა ვერანაირი ორგანიზმი ვერ ცოცხლობს.

მისი წარმოშობის ორი ვერსია არსებობს. ძველად მეცნიერებს ეგონათ, რომ მკვდარი ზღვის აუზი წითელი ზღვის გახლეჩის შედეგად წარმოიქმნა.

უფრო ახალი თეორიით კი იგი ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთ აფრიკის რღვევის ხაზის შედეგია, რომელიც აფრიკისა და არაბეთის საზღვარზე ტექტონიკური ფილების მოძრაობის შედეგად წარმოიქმნა.

მკვდარი ზღვის წყლების უნიკალური კონცენტრაცია და მისი სამკურნალო თვისებები უკვე დიდი ხანია ცნობილია.

არისტოტელე, სოლომონ მეფე, დედოფალი კლეოპატრა და ა.შ აქტიურად იყენებდნენ ტბის სასარგებლო თვისებებს.

თანამედროვე ექიმებიც თავიანთ პაციენტებს, რომლებსაც კანის პრობლემები აქვთ საკმაოდ ხშირად ურჩევენ მკვდარი ზღვის აბაზანების მიღებას.

კოსმეტოლოგები მისი მინერალების საშუალებით სხვადასხვა კოსმეტიკურ საშუალებებს ამზადებენ, რომლებიც მსოფლიოში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მკვდარი ზღვა მილიონობით ტურისტს იზიდავს. ყველას მოსწონს წყალზე წოლა ისე რომ ჩაძირვის არ ეშინიათ.

2009 წელს ტბას 2,5 მილიონი ტურისტი ეწვია.

# უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალების მიზეზი 6-8 კვირაში გახდება ცნობილი

დასაწყისი მე-10 გვერდზე

როგორც აღვნიშნეთ, პოპვარსკვლავის სიკვდილის გარემოებებს კალიფორნიის შტატის პოლიცია იძიებს. სასტუმროს ნომერში მათ ნარკოტიკების კვალი არ აღმოუჩენიათ. სამართალდამცავები მომღერლის მკვლელობასაც გამორიცხავენ.

ცნობილი ხდება ისიც, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, 9 თებერვალს პაპარაცებმა და თაყვანიმცემლებმა უიტნი ღამის კლუბიდან გამომავალი ნახეს და ირწმუნებიან, რომ იგი ძალიან არაადეკვატურად იქცეოდა.

ეჭვი არავის გასჩენია – ჰიუსტონი ან გადამთვრალი იყო, ან ნარკოტიკების გადამეტებული დოზა ჰქონდა მიღებული.

ცნობილია ისიც, რომ ნარკოტიკის მოხმარება მომღერალმა 2000 წელს დაიწყო, როდესაც იგი ბობი ბრაუნის ცოლი იყო. რამდენიმე გამოცემა ამტკიცებს, რომ მომღერალი სააბაზანოში გარდაიცვალა.

უკანასკნელი ადამიანი, რომელიც მომღერალს ესაუბრა, დედამისი კისი ჰიუსტონი გახლდათ. იგი შვილს ტელეფონით სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ელაპარაკა.

– მის ხმაში საეჭვო არაფერი შემინიშნავს, არც ჯანმრთელობას უჩიოდა, – აცხადებს იგი.

მომღერლის სიკვდილის გამო შეიცვალა „გრემის" დაჯილდოების სცენარი. დამსწრე საზოგადოებამ დუმილით გამოხატა პატივისცემა მომღერლის მიმართ. გადაიდო ცერემონიალის რეპეტიციები, ორგანიზატორებს შოუს გადადებაც კი სურდათ, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ „გრემის" დაჯილდოების 54-ე ცერემონიალი უიტნი ჰიუსტონს მიეძღვნებოდა.

მომღერლისთვის პატივის მისაგებად თბილისში, ამერიკის საელჩოსთან, მისი თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ, მათ შორის ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებიც იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ უიტნი ელიზაბეტ ჰიუსტონი 1963 წლის 9 აგვისტოს დაიბადა.

სუპერვარსკვლავის სტატუსი 1992 წელს ფილმ „პირადი მცველის" გამოსვლის შემდეგ მოიპოვა.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად უიუტნის ჰიუსტონი მომღერალთა შორის ყველაზე მეტი ჯილდოს მფლობელია.

– არ მაქვს სიტყვები, მხოლოდ ცრემლი..., – დაწერა ტვიტერზე რიანამ.

– ის არაჩვეულებრივი და ძალიან ნიჭიერი იყო. მთელს მის ოჯახს ვუთანაგრძნობ,– აცხადებს პერის ჰილტონი.

– კიდევ ერთი ლეგენდა დავკარგეთ. ის ძალიან დაგვაკლდება, – წერს კრისტინა აგილერა.

უიტნი ჰიუსტონი ლოს-ანჯელესში 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვარსკვლავი უგონო მდგომარეობაში სასტუმრო „ბევერლი ჰილტონის" ნომერში პირადმა მცველმა იპოვა.

# „დედამიწაზე ბიოსფეროს განადგურების მორიგი ეტაპი დაიწყო"



გარემოს დაცვის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტ აშოკ ხოსალას განცხადებით, „დედამიწაზე ბიოსფეროს განადგურების მორიგი ეტაპი დაიწყო".

მისივე პროგნოზით, ბიოსფეროს განადგურების ეტაპის შემდეგ ცოცხალი ორგანიზმების ათასობით სახეობა გაქრება.

– ყოველდღიურად მსოფლიოში ხანძრის შედეგად 50 ჰექტარი მიწის ფართობი ნადგურდება, 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კი უდაბნოდ იქცევა. ატმოსფეროში დღე-ღამის განმავლობაში 60 მილიონი ტონა მხუთავი აირი გამოიყოფა, რომლის სავალალო შედეგებიც დედამიწის ყოველ კუთხეზე აისახება, – განაცხადა ხოსალამ.

ბიოსფერო (ბერძ. სიცოცხლე და სფერო) – დედამიწის თხელი ფენაა, სადაც არსებობს და ვითარდება სიცოცხლე.

ტერმინი „ბიოსფერო" პირველად გამოჩენილმა ფრანგმა ნატურალისტმა ჟან ბატისტ ლამარკმა გამოიყენა, ხოლო მწყობრი სწავლება ბიოსფეროს შესახებ მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. მისი ავტორია რუსი მეცნიერი ვლადიმერ ვერნადსკი.

თანამედროვე ბიოსფერო მოიცავს ლითოსფეროს, ანუ დედამიწის ქერქს; ჰიდროსფეროს, ანუ დედამიწის წყლიან გარსსა და ატმოსფეროს, ანუ პლანეტის აიროვან გარსს.

ბიოსფეროს ზედა საზღვარი ზღვის დონიდან დაახლოებით 6 კილომეტრს აღწევს. ამ სიმაღლეზე ჯერ კიდევ შეუძლია არსებობა ქლოროფილის შემცველ მცენარეებს. ბიოსფეროს ქვედა საზღვარი ვრცელდება 2-3 კმ სიღრმეზე ხმელეთის პირობებში და 1-2 კმ-ის სიღრმეზე ოკეანის ფსკერიდან.

ბიოსფეროს ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ნივთიერების წრებრუნვა მის ცოცხალ და არაცოცხალ ნაწილებს შორის. ამ პროცესს მნიშვნელოვანი ენერგია ესაჭიროება. ამ ენერგიის წყაროა მზე. მზის ენერგია ნივთიერებათა ორ წრებრუნვას უზრუნველყოფს – დიდს, ანუ გეოლოგიურს და მცირეს, ანუ ბიოლოგიურს. დიდი წრებრუნვის მაგალითია წყლის მიმოქცევა, რომელიც გულისხმობს დედამიწის ზედაპირიდან წყლის აორთქლებასა და მის დედამიწაზე დაბრუნებას ნალექის სახით.

ოკეანიდან მეტი წყალი ორთქლდება, ვიდრე ბრუნდება. ხმელეთზე, პირიქით, მეტი ნალექი გამოიყოფა, რომლის ნაწილი მდინარეებში, იქიდან კი ოკეანეებში ჩაედინება.

ცოცხალი ორგანიზმის გაჩენასთან ერთად, დიდ ანუ გეოლოგიური წრებრუნვის წიაღში ჩაისახა მცირე, ანუ ბიოლოგიური წრებრუნვა.

ბიოლოგიური წრებრუნვისათვის დამახასიათებელია ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა და დაშლა. ეს პროცესი ხორციელდება ქიმიური ელემენტების მიმოცვლით ცოცხალ ორგანიზმებს შორის.

ადამიანი ბიოსფეროს განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და მას ნოოსფერო, ანუ შეგნების სფერო ჰქვია.

## TV პროგრამა

სამშაბათი
14 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 დოკ. ფილმი „ღვთაებრივი მიქელანჯელო„ 15.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „მეორე შანსი„ 21.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი 01.30 მოამბე 01.50 კავკასუს ლაივი 02.50 მხ. ფ. „მშვიდობისმოყვარე„ (12) (ჯ. კლუნი) 05.00 მხ. ფილმი „მხიარული მოგზაურობა„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. „ელიტარული უბანი„ 20.00 მხ. ფ. „გამიარა, მაგრამ არ დამივიწყებია„ 01.00 მხ. ფილმი „გზათა გადაკვეთა„

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მიყვარხარ ლოლა„ 19.50 სერ. „სახლი მეზობლად„ 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 01.40 შუა დღე 03.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 03.30 პატრული 04.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. „შურისძიების საფასური„ 17.40 სერ. „ევა ლუნა„ 19.05 სერ. „ბედისწერის ქალა„ 21.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 22.00 ნანუკას შოუ 23.40 სიმართლის დრო 00.50 მხ. ფ. „ვარსკვლავის დაბადება„ (პ. დაფი) 03.00 მხ. ფ. „სიკვდილის შემდეგ„ (12) (ჟ. ვან დამი) 04.30 მხ. ფილმი „უცხოები„ (15) (ლ. ტაილერი) 06.30 სერ. „მარინა„

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. „ვერონიკა მარსი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ. „ჯაშუში ქალი„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „ექიმი ქმორი„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 „დრო„ 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. „ექიმი ქმორი„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი „ისინი„ 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი „მარადიული ბავშვობის ბინადრები„ 10.45 დრო და ტარდიციები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი „მე ვხედავ მზეს„ 13.45 კონცერტი— ენიო მორიკონე ვენეციაში 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „დები ტრევისის საოცარი სახლი„ 15.55 მხ. ფილმი „მამლუქი„ 17.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი „მირქმა„ 23.30 ქრონიკები დიდი მამულიშვილების ცხოვრებიდან 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი 01.20 მოკლ. ფილმი „მაკენას ოქრო„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**14 თებერვალი**

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2




ეროვნული ბიბლიოთეკა


# გაზეთი „ახალი თაობა“ გთავაზობთ სერიას

**32 ტომი**

## მსოფლიო დეტექტივების სეიფი

ტომი 1. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. დათარსული კაცი.
2. ართურ კონან დოილი. მოწამლული სარტყელი. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.
3. სიდნეი შელდონი. ნიღაბჩამოხსნილი სახე. უცნობი სარკეში.
4. აგათა კრისტი. მივიწყებული მკვლელობა.
5. ჯადსონ ფილიფსი. სახლი მთაზე. ჭორების ქალაქი.
6. როს მაკდონალდი. კვალს მივყავართ ელ რანჩოში.
7. ჯონ დიქსონ კარი. იმპერატორის საბურნუთე. სიკვდილი არარსებულ ოთახში.
8. ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი.
9. დეშილ ჰემეთი. მინის გასაღები. უაზრო საქმე.
10. ბორის აკუნინი. ლევიათანი.
11. ჩარლზ პ. სნოუ. სიკვდილი იალქნის ქვეშ.
12. დიკ ფრენსისი. ფავორიტი.
13. რაიმონდ ჩანდლერი. ქალი ტბაში.
14. სეიტო მაცუმოტო. მკვიდრთა სამყარო.
15. სირილ ფეირი. წმინდა ინგლისური მკვლელობა.
16. ფრიდრიხ დიურენმატი. ავარია.
17. ჟორჟ სიმენონი. ყვითელი ძაღლი.
18. ბუალო-ნერსჟაკი. ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს.
19. იჟი ედიგეი. თვითმკვლელის ანდერძი.
20. ფრედ ვარგასი. წამოდექით, მიცვალებულებო!
21. ედგარ ალან პო. მკვლელობა მორგის ქუჩაზე.
22. ჯონ ლე კარე. მკვლელობა ჯენტლმენურად.
23. ჰაინერ რანკი. მწვანე მოჩვენება.
24. ჯეფრი ჰადსონი. საგანგებო შემთხვევა.
25. კრისტინ ზემსკი. ოქროს საცეცები.
26. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. ქვის ჯუნგლი. მოწმეები არ იქნებიან.
27. პერ ვალე. 31-ე განყოფილების დაღუპვა.
28. ერლ სტენლი გარდნერი. ცალთვალა მოწმის ჩვენება.
29. როს მაკდონალდი. უკანასკნელი მზერა.
30. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი I.
31. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი II.
32. აგათა კრისტი. სიკვდილი ღრუბლებში.

მუქი შრიფტით აღნიშნულია უკვე გასული წიგნები

## ყოველი შაბათის ნომერში

**11 თებერვლიდან გაიყიდება ტომი 8 — ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი**



## ერთადერთი ყოველკვირეული სპორტული ჟურნალი

# სპორტსიახლენი



## 1 თებერვლიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-19 ტომი

# ჩინგიზ ყაენი

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 14 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

სიყვარულის დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – მშვენიერი დღეა, საჩუქარს გიმზადებენ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ. **კირჩხიბი** – ფულს შოულობთ, გელით სხვა სიახლეც. **ლომი** – ეს დღე კარგად დაგამახსოვრდებათ, დიდი სიურპრიზი გელით. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი თავბრუს დაგახვევთ. **სასწორი** – გიმართლებთ პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. **მორიელი** – ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, რაც გინდათ, ის გააკეთეთ. **მშვილდოსანი** – არ არის საჭირო ზედმეტი აქტიურობა, ყველაფრი ისედაც კარგადაა. **თხის რქა** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი გოლფისტი მამაკაცი; 2. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 4. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 5. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 6. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 7. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 12. ინდოეთში გავრცელებული ნიანგი; 13. ძვირფასი ლითონი; 16. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 17. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 18. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკრობი; 19. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. დადუღებული ყურძნის წვენი.

**თარაზულად:** 3. გულისცემა; 8. ძალზე მტკიცე მინერალი; 9. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 11. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 12. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული დეკორატიული მცენარე; 14. მოკლე წარწერა გერბზე ჰერალდიკაში; 15. აეროპორტი მილანში; 20. ქართველი კომპოზიტორი; 22. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 23. გემის წყალქვეშა ნაწილების სარემონტო ნაგებობა; 24. ქალაქ ტუაფსეს ძველბერძნული სახელწოდება; 25. ქალაქი ქართლში; 26. ფულის სარგებლით გამსესხებელი, მევახშე; 27. პოპულარული ტანსაცმელი.




შეადგინა თ.გოგინაშვილმა